# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 45 (10290) 26 ნოემბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა




## „ნაციონალური მოძრაობა“
### „დემოკრატია და ადამიანის უფლებები
### 2004-2012

დამკვიდრდა ბიზნესის რეკეტისა და ადამიანებისთვის ქონების წართმევის სისტემური პრაქტიკა - სხვადასხვა უწყებაში დაფიქსირდა ა-ამიანებისთვის ქონების წართმევის 10 ათასზე მეტი შემთხვევა.

- დამკვიდრდა პატიმრების წამების, გაუპატიურებისა და ღირსების ხელყოფის სისტემური პრაქტიკა - დაფიქსირდა პატიმრების 30 ათასზე მეტი საჩივარი, საიდანაც 6 ათასამდე საჩივარი პატიმრების წამებას უკავშირდებოდა.
- პატიმრების რიცხოვნობამ და სიკვდილიანობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.
- დამკვიდრდა ადამიანების ტოტალური თვალთვალის, მიყურადების, პირად ცხოვრებაში ჩა-რევის სისტემური პრაქტიკა.
- მოქალაქეების შეკრების თავისუფლებას ხელისუფლება უპრეცედენტო სისასტიკეს უპირისპირებდა.
- ჩამოყალიბდა უსამართლო სასამართლო სისტემა, რომელიც სრულად ემორჩილებოდა სააკაშვილისა და ადეიშვილის უკანონო დირექტი-ვებს: სასამართლო იქცა ადამიანების ღირსების შელახვის, დაშინებისა და რეკეტის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად.
- განხორციელდა პოლიციის, სასამა-რთლოს, პროკურატურისა, აგრეთვე სხვა სამა-რთალდამცავი და საჯარო უწყებების ტო-ტა-ლური პოლიტიზება.
- 2004-2007 წლებში ნაციონალურმა მოძრაობამ ყაჩაღურად და უკანონოდ მიისაკუთრა ყველა საერთოეროვნული სატელევიზიო არხი, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებელი და ტელეკომპანიები - იმედი და რუსთავი 2.
- დამკვიდრდა არჩევნების უხეში გაყალბების პრაქტიკა.
- ნაციონალური მოძრაობა ებრძოდა ქარ-თულ ეკლესიას, ტრადიციებსა და ღირებ-ულებებს.
- მრავალჯერადი ცვლილებების საფუ-ძვე-ლზე, ხელისუფლებამ დაამკვიდრა არადე-მოკ-რატიული, სააკაშვილისა და ნაციონალური მოძ-რაობის სუბიექტურ ინტერესებზე მორგებული კონსტიტუცია.



## „ქართული ოცნება“
### „დემოკრატია და ადამიანის უფლებები
### 2012-2018

აღიკვეთა ბიზნესის რეკეტისა და ადამიანებისთვის ქონების წართმევის პრაქტიკა - სახელმწიფომ ადამიანებს ნაციონალური მოძრაობის მიერ წართმეული 50 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ქონება დაუბრუნა.

- უზრუნველყოფილია ბიზნესის თავისუფლება - მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად, საქართველო მეე-ქვსე ადგილზეა მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმ-არტივის თვალსაზრისით.
- ფუნდამენტურად გაუმჯობესდა პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა:
- აღიკვეთა პატიმრების წამებისა და ღირსების სხვაგვარი ხელყოფის პრაქტიკა;
- 2011 წელთან შედარებით, 2,6-ჯერ (24114-დან 9280-მდე) შემცირდა პატიმრების რაოდენობა;
- 2011 წელთან შედარებით,9-ჯერ (140-დან 15-მდე) შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობის მაჩვ-ენებელი.
- აღიკვეთა ადამიანების პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს უხეში, ღირსების შემლახავი ჩარევის პრაქტიკა.
- არ ყოფილა შეკრების არათუ სასტიკი, ძალა-დობრივი დაშლის არცერთი პრეცედენტი.
- ფუნდამენტურად გაუმჯობესდა სასამართლოს და-მოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ხარისხი, რაც ყველაზე უკეთ სტატისტიკური მაჩვენებლებით გამოიხატება:
- 6-ჯერ გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა;
- 2-ჯერ შემცირდა წინასწარი პატიმრობის შეფა-რდების მაჩვენებელი;
- 3-ჯერ შემცირდა ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი;
- 5-ჯერ შემცირდა ჯარიმების შეფარდების მაჩ-ვენებელი;
- 220-ჯერ გაიზარდა პოლიციისა და სიტი-პარკის წინააღმდეგ საჩივრების დაკმაყოფილების მაჩვენებელი;
- 11-ჯერ შემცირდა სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილი საჩივრების რაოდენობა.
- განხორციელდა ჯარის, პოლიციისა და სხვა საჯარო უწყებების დეპოლიტიზაცია.
- უზრუნველყოფილია მედიაპლურალიზმი:
- 2 წამყვანი სატელევიზიო მაუწყებლიდან ერთი ნაციონალურ მოძრაობას ეკუთვნის, მეორე კი ხელისუფლების ძალისხმევით, კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა და მიუკერძოებელ მაუწყებლობას ახორციელებს;
- ათეულობით ტელევიზია, რადიო და ბეჭდვითი პრესის საშუალება დამოუკიდებელ საინფორმაციო საქმიანობას ეწევა.
- აღიკვეთა არჩევნების გაყალბების პრაქტიკა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ.
- ხელისუფლება პატივს სცემს და უსმენს ქართულ ეკლესიას, იცავს ეროვნულ ღირებულებებსა და ტრადიციებს.
- სალომე ზურაბიშვილის ინიციატივის საფუ-ძველზე, პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური ნორმა, რომელიც ქართული დიასპორის წარმომადგენლებს სა-ქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებისა და აღდგენის შესაძლებლობას ანიჭებს.
- პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და საქართველოში გრძელვადიან პერსპექტივაში ავტორიტარული თუ ნახევრად ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებას გამორიცხავს.

## ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

ნაციონალური მოძრაობა

### მოსახლეობა

| ნაციონალური მოძრაობა | | ქართული ოცნება | |
|---|---|---|---|
| 2003 | 4,0 მილიონი | 2018 | 3,7 მილიონი |
| 2012 | 3,7 მილიონი | | |

ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის პირობებში მოსახლეობა 300 ათასამდე ადამიანით შემცირდა!

„ქართულმა ოცნებამ“ დემოგრაფიული კატასტროფა შეაჩერა, 2014 წლიდან კი, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა დაიწყო!

### ბიუჯეტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 2012 | 8,6 მილიარდი ლარი | 2018 | 13.7 მილიარდი ლარი |

გაიზარდა 5,1 მილიარდი ლარით!

### ეკონომიკა (მშპ)

| | | | |
|---|---|---|---|
| 2012 | 26 მილიარდი ლარი | 2017 | 38 მილიარდი ლარი |

გაიზარდა 12 მილიარდი ლარით!

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2012 | 1,0 მილიარდი დოლარი | 2017 | 1,9 მილიარდი დოლარი |

გაორმაგდა!

### სიღარიბე (მსოფლიო ბანკის მონაცემებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| 2012 | 1147,5 ათასი ადამიანი | 2017 | 814 ათასი ადამიანი |

შემცირდა 333,5 ათასი ადამიანით!

### დასაქმება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2012 | 716,2 ათასი დაქირავებით დასაქმებული | 2017 | 824,2 ათასი დაქირავებით დასაქმებული |

გაიზარდა 108 ათასი ადამიანით!

### საშუალო ხელფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| 2012 | 712,5 ლარი | 2018 | 999,1 ლარი |

გაიზარდა 286,6 ლარით!

### ტურიზმი

| | | | |
|---|---|---|---|
| 2011 | 3,1 მილიონი ტურისტი | 2017 | 7,9 მილიონი ტურისტი |

გაიზარდა 4,8 მილიონით!

### ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2012 | 1,8 მილიარდი ლარი | 2018 | 3.5 მილიარდი ლარი |

გაორმაგდა!

### პენსია

| | | | |
|---|---|---|---|
| 2012 | 110 ლარი | 2019 | 200 ლარი |

გაიზარდა 90 ლარით!

### განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2011 | 0,6 მილიარდი ლარი | 2017 | 1.2 მილიარდი ლარი |

გაორმაგდა!

აშენდა ათეულობით ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი!

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ათასობით სკოლასა და საბავშვო ბაღს!

### გზები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2007-2012 | განხორციელდა 272 კმ/ზოლი ავტობანის მშენებლობა | 2013-2018 | განხორციელდა 349 კმ/ზოლი ავტობანის მშენებლობა |

აშენდა 28 პროცენტით მეტი გზა!

### გაზიფიკაცია

| | | | |
|---|---|---|---|
| 2004-2012 | 172,7 ათასი ახალი აბონენტი | 2013-2018 | 393,4 ათასი ახალი აბონენტი |

3,4-ჯერ გაიზარდა გაზიფიკაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი!

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

## გაზეთი „ალიონი" სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***

## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში"
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# „ჰორიზონტიდან" დანახული სოფლის მეურნეობის ხილული და უხილავი ჰორიზონტები

**თემურ მარშანიშვილი**

20 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გელა ხანიშვილი** ოზურგეთში, კოლეჯ „ჰორიზონტის" სააქტო დარბაზში გურიაში მოღვაწე ფერმერებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა.

სტუმარი ადგილობრივ პუბლიკას გურიის მხარის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაიამ** წარუდგინა, მანვე გააცნო შეკრებილ საზოგადოებას მინისტრის მოადგილის ჩამოსვლის მიზანი:

*„ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, თხილისა და ერთწლიანი კულტურების მოსავლის თითქმის მთლიანად განადგურების შემდეგ, ციტრუსის მოიმედეა და მის რეალიზებაში მოსახლეობას პრობლემები არ უნდა შეექმნას. სწორედ ამ მიზნით ვთხოვეთ გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გამოეგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელიც ამავე დროს, გაანალიზებდა ხელისუფლების მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარებისა-თვის მიმდინარე პროექტებს და მოსახლეობას დასახულ პერსპექტივებსაც გააცნობდა. სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა ჩვენთან გარემოს დაცვისა და სო-ფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბატონი გელა ხანიშვილი".*

სტუმარი ორიგინალურად გაგვეცნო:

*„მე გახლავართ გელა ხანიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, დაბადებული და გაზრდილი სოფელ რუისში, დღემდე ამავე სოფელში მომუშავე ფერმერი, ვისაც მომყავს ყველა სახის პროდუქცია, – ლობიო, ხორბალი, ვაშლი, სი-მინდი თუ ნებისმიერი ბოსტნეული კუ-ლტურა. მესამედ ვარ მინისტრის მოადგილე სხვადასხვა რანგში და ვიცი, რომ თანამდებობა დროებითია, მხოლოდ დარგი და მიწაა მუდმივი, რომელიც ინახავდა და კვლავ შეინახავს საქართველოს".*

მინისტრის მოადგილემ მოკლედ მიმოიხილა თუ რა რთული გზა გაიარა სოფლის მეურნეობამ, როგორც დარგმა, 90-იანი წლებიდან დღემდე:

*„90-იან წლებში გატარებულმა რეფორმებმა კერძოდ, მიწების გადანაწილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოების გადარჩენის თვალსაზრისით, იმიტომ, რომ ზოგმა გაყიდა, ზოგმა ისეთი კულტურა მოიყვანა, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ საბოლოოდ ქვეყანაში შექმნა ძალზე რთულად სამართავი სოფლის მეურნეობა. შემდგომ პერიოდიდან 2003 წლამდე განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, სოფლის მეურნეობისთვის, ბუნებრივია, არავის ეცალა. 2003-დან 2012 წლამდე ქვეყანაში ეკონომიკურმა აქტივობამ სულ სხვა პარამეტრებს მიაღწია, მაგრამ გაცხადებული იყო, რომ სოფლის მეურნეობა არ იყო სფერო, რომელშიც ინვესტიციების ჩადება გახლდათ მნიშვნელოვანი. 2012 წლიდან რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა იქცა არა მხოლოდ სფეროდ, რომელსაც თვითგამორკვევა და თვიდაფინანსება უნდა უზრონველეყო, არამედ იგი ფაქტობრივად უნდა გადასულიყო ინტენსიურ განვითარებაზე, უნდა შექმნილიყო ისეთი შესაძლებლობები, რომ ადამიანს მოეყვანა მოსავალი, რომელიც მას არა მხოლოდ გამოკვებავდა, არამედ მისი ბიზნესის წყაროც გახდებოდა. ეს სათქმელად მარტივია, გასაკეთებლადაა ძნელი. ამას სჭირდება მრავალწლიანი, დაუღალავი შრომა, როგორც ფერმერების, ისე ინვესტორების მხრიდან.*

*რა თქმა უნდა, საქართველოში არის ისეთი რეგიონები, რომელთაც, ამ პოლიტიკის გატარების შედეგად, გაცილებით სწრაფად შეეძლოთ ცვლადი ეკონომიკური ეფექტის მიღება, ასევე არის რეგიონები, სადაც ეს ყველაფერი დღესაც ძნელად განსახორციელებელია.*

*2012 წლის შემდეგ, სახელმწიფოს თანადგომის შედეგად, სოფლის მეურნეობაში, მთლიანად 2 მილიარდამდე ლარის ინვესტიციაა ჩადებული. ეს არის კერძო სექტორისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო პროექტები, ეს არის, სახელმწიფოს თანადგომით, თვითონ კერძო სექტორის მიერ გაწეული, ასე ვთქვათ, ინვესტირება და ეს არის ბანკის თანადგომა ყოველივე ამ პროექტების მიმართ.*

*ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ დღეის მდგომარეობით ქვეყანაში აშენებულია 180 საწარმო სოფლის მეურნეობის მიმართულებით და 800-ზე მეტი სრულიად გადაიარაღებული საწარმო, რომელსაც შეუძლია თანამედროვე პროდუქციის წარმოება.*

*ციფრებში ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ექსპორტ-იმპორტში უარყოფითი მინუს მილიარდი დოლარი გვქონდა, მილიარდი დოლარით მეტი შემოგვქონდა და გასატანი იყო ძალზე უმნიშვნელო. დღეის მდგომარეობით, დარგში ჩადებულმა ინვესტიციებმა მილიარდი დოლარიდან 350 ათას დოლარამდე შეამცირა უარყოფითი სალდო.*

*ყველაზე წარმატებული მაგალითი ეს არის, როდესაც არნახულ წარმატებას მიაღწია ღვინის სექტორმა. იყო დაახლოებით 40 მილიონი დოლარის ფარგლებში. დღეს ღვინით მიღებული შემოსავალი აღწევს 200 მილიონ დოლარს, გატანილი ბოთლების რაოდენობა უტოლდება 85 მილიონს. აქ მნიშვნელოვანია ქვეყნები, რომლებშიც გადის ღვინო, იყო 14-20 ქვეყანა, დღეს არის 53 დაწყობილი ქვეყანა. ჩვენი 251 კომპანია ვაჭრობს დღეს ღვინით საერთაშორისო ბაზრებზე.*

*ეს არის ნათელი მაგალითი, თუ რის გაკეთება შეუძლია კერძო სექტორს სახელმწიფოს თანადგომით. აღნიშნული მიდგომა ყველა მიმართულებით გრძელდება სხვადასხვა ინტენსივობით"*

ხანიშვილმა აქვე წარმოადგინა გურიაში, სოფლის მეურნეობის დარგში გაცემული შეღავათიანი კრედიტების სტატისტიკა:

*„გურიაში 151 ბენეფიციარი სარგებლობს შეღავათიანი კრედიტით, რომლის 11 პროცენტს სახელმწიფო იხდის, 3 პროცენტს – ბენეფიციარი. მთლიანობაში 7 მილიონ 500 ათასი ლარის კრედიტია გაცემული ლარებში, ამავე დროს არის დოლარებში გაცემული კრედიტი 4 მილიონ 300 ათასი დოლარის რაოდენობით. მხარეში 80 მიმართულების პროექტია ჩადებული".*

მინისტრის მოადგილემ ისაუბრა თხილის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებების შესახებ, ყურადღება გაამახვილა აზიური ფაროსანასა და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებზე. აღნიშნა, რომ იმ რეგიონებში, სადაც რეკომენდებულ ვადებში ჩატარდა შესხურებები, დადებითი ტენდენციები შეინიშნება და თხილისა და ერთწლიანი კულტურების უხვი მოსავალიცაა მიღებული.



ამის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ერთ-ერთმა ფერმერმა, რომელიც მეცხოველეობას ეწევა აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიიღო პროექტში „აწარმოე საქართველოში", პირველი ეტაპიც წარმატებით გაიარა, მაგრამ, მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ვერ მიიღო დაფინანსება. ხანიშვილი დაინტერესდა საკითხით, დამატებითი ინფორმაციები ითხოვა და ფერმერს შეპირდა აუცილებლად გაარკვევდა რა იყო დაუფინანსებლობის მიზეზი.

ხვარბეთელმა პედაგოგმა **მაგული ჯინჭარაძემ** თავისი სოფლის მაგალითზე, ზოგადად სოფლის გასაჭირზე ესაუბრა მინისტრის მოადგილეს:

*„სოფელი ქვეყნის განვითარების ხერხემალია, ეს ხერხემალი კი შუაზე არის გადატეხილი. ირგვლივ ყოველთვის გაჭირვებაზეა ლაპარაკი. მეზობელმა მითხრა, ძროხა უნდა გავყიდო, ჩემთვის არ მაქვს საჭმელი და მაგას რა ვაჭამოო. უსახსროდ დარჩენილი ხალხი რომ ვერ შეძლებს თხილისა და ციტრუსების პლანტაციების რამდენიმეჯერ შეწამვლას, ამის გაგება ვიღაცებს არ სურთ. სული ხდება მოსახლეობას. პირადად მე ციტრუსის მოვლა და მოკრეფა 40 თეთრი მიჯდება. რაღა დამრჩა? ვისაც მომხმარე ჰყავს, ცოტა იაფი დაუჯდება, მაგრამ ეს არ არის შეღავათი. აუცილებელია ფასის მომატება. თანაც რეალიზაცია ჭირს. თბილისის ბაზრები თურქული ციტრუსითაა სავსე, აურაცხელ პროდუქციას ვუსაღებთ. ეს მანდარინი მაინც დაგვითმონ. თხილი აქ რომ 3 ლარი ღირდა და იქ 12, ვინმემ შეუშვა ჩვენი გლეხი და გააყიდვია?! გთხოვთ, მთავრობამდე მიიტანოთ ჩვენი თხოვნა, გაგვითავისუფლონ თბილისის ბაზარი თურქული ციტუსებისაგან. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ხალხი მუშაობს, მშრომელზე მაქვს საუბარი და არაფერი რჩება. ერგნეთის ბაზრობაც დახურეს, სადაც შეიძლებოდა ციტრუსის რეალიზაცია"*

ხანიშვილის თქმით, საზღვრების ჩაკეტვა კარს არაფერს მოიტანს, ჩაკეტილი რომ ვიყავით და პური ტალონზე იყო, ეს იყო ძალიან ცუდი პერიოდი. ხარისხოვანი პროდუქციით უნდა გავუწიოთ კონკურენცია. რაც შეეხება ერგნეთს, დაუშვებელია ასე მოუწესრიგებლად და აღურიცხავად ბაზრობა. სოფელ რუხში აშენდა ასეთი უზარმაზარი ბაზარი, სადაც ცივილიზებულად ყველას შეუძლია თავისი პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა.

**იაშა ცეცხლაძემ,** რომელიც სოფელ კონჭკათში ფლობს ცირუსების მიმღებ და სარეალიზაციო პუქტს, განაცხადა, რომ ხელოვნურ ბარიერებს აწყდება პოლიციის მხრიდან ციტრუსის ტრანსპორტირებისას.

*„130 ათასი ლარი დამიჯდა ამ პუნქტის მშენებლობა, დამოუკიდებლად, საკუთარი სახსრებით ავაგე, მერე, როცა გაფართოებაზე ვიფიქრე, ბანკმა უარი მითხრა სესხზე. იციან აქ ამის შესახებ. ხელოვნურ ბარიერებს გვიქმნის პოლიცია ციტრუსის რეალიზებისას, აჩერებენ და აყოვნებენ მანქანებს. კარგად მოგეხსენებათ, ციტრუსი მალფუჭადი პროდუქტია და ასეთი ქმედების შედეგად ვზარალდებით".*

ხანიშვილმა მადლობა უთხრა ცეცხლაძეს, ასეთ კარგ საქმეს რომ აკეთებს, შეპირდა ბანკთან ურთიერთობის გარკვევას, იმასაც, რომ გადარეკავს და გაიგებს ციტრუსოვნებით დატვირთული ტრანსპორტის შეფერხებისა თუ შეყოვნების მიზეზს და თუ რაიმე დარღვევა არ არის, დაეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში. თქვა, რომ ლარსი უკვე გახსნილია და მალე საცობებიც აღარ იქნება.

რამდენიმე საინტერესო საკითხი დასვა შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა, ფერმერმა **აკაკი ღლონტმა**, რომელიც ეხებოდა გაზაფხულის წაყინვების პერიოდში დაწვიმებითი მორწყვის გამოყენების ეფექტიანობას და საზამთროდ თივის დამზადებას.

შეხვედრის დასასრულს ერთ-ერთ ფერმერმა თხილის მოვლა-მოყვანის შესახებ ითხოვა უფრო მეტი ინფორმაცია.

*„მართალი გითხრათ, ველოდი, რომ ამ საკითხს დასვამდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, არ აინტერესებთ. თხილის მოვლა-მოყვანაზე, განსაკუთრებით მის წამლობაზე მინდოდა უფრო მეტი ინფორმაცია."*

ამ საკითხზე **გელა ხანიშვილის** პასუხი ასეთი იყო:

*„არ ვიცი, რას გულისხმობთ „უფრო მეტ ინფორმაციაში", მაგრამ თხილის მოვლა მოყვანაზე, მის წამლობაზე გაცემული რეკომენდაციები 80 ათაზე მეტი ტირაჟით დაიბეჭდა და გავრცელდა საზოგადოებაში. თუ რაიმე უფრო დაწრილებით გაინტერესებთ, მომწერეთ და აუცილებლად გაგარკვევთ."*

შეხვედრა იმით იყო ნიშანდობლივი, რომ სოფლის მეურნეობაში, როგორც დარგში, აშკარად გამოიკვეთა ხილული და უხილავი ჰორიზონტები.

# გრიგოლ მახარაძე: „ამერიკაში თითქმის ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობა აგვარებს“

***პროფესიული პრაქტიკის პროგრამაში (PFP) მონაწილეობისთვის, საქართველოდან ამერიკაში, მსურველებიდან, მხოლოდ სამი გაემგზავრა. პროგრამის მონაწილეები კონკურსის შედეგების გათვალისწინებით შეირჩა. აქედან ერთი ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კოორდინატორი გრიგოლ მახარაძე იყო. მას ამერიკულ შთაბეჭდილებებსა და იქაურ მართვის თავისებურებებზე ვესაუბრეთ.***




**გრიგოლ მახარაძე:** „პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნებიდან არჩევენ პროფესიონალებს, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ. ისინი მიჰყავთ განსხვავებული პროფილის ორგანიზაციებში მათი ინტერესის, პროფესიული გამოცდილების მიხედვით. მიზანია, გაიცნონ, როგორ მუშაობს იქაური სისტემა, სხვადასხვა მიდგომები, წამოიღონ გამოცდილება და გამოიყენონ საკუთარ ქვეყანაში.

ჩემი კონკრეტული ინტერესი იყო ადგილობრივი თვითმმართველობა. ვმუშაობდი ორგანიზაციაში, რომელსაც ჰქვია „პარკების მეგობრები“ და ის მონიტორინგს უწევს კონკრეტულ სფეროში თვითმმართველობის საქმიანობას. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია მუშაობდა პარკებზე, საჯარო სივრცეებზე, სარეკრეაციო ზონებზე. ვნახე, როგორ მუშაობენ, რა მეთოდებს მიმართავენ იმისთვის, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყოს უზრუნველყოფილი მოქალაქეების ხმა. ძალიან საინტერესო „ქეისები“ აქვთ. მუშაობენ ასევე საგანმანათლებლო მიმართულებითაც.

გარდა ამ კონკრეტული მიმართულებისა, ზოგადად გავეცანი თვითმმართველობის სისტემას, რომელიც ამერიკის სხვადასხვა შტატში განსხვავებულია. არ არის ისე, როგორც ჩვენთან, მთელი ქვეყვის მასშტაბის ერთიანი სისტემა რომ მოქმედებს. ძალიან დიდი განსხვავებაა შტატების მიხედვით.

**— რა დამახასიათებელი თავისებურებები აქვს ამერიკაში თვითმმართველობას, რა არის ძირითადი განმასხვავებლები ქართული თვითმმართველობიდან?**

— უნდა ითქვას, რომ აშშ-ში თვითმმართველობის კომპეტენციები გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვენთან თითქმის ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობა აგვარებს.

**— რამდენად მაღალია მოქალაქეების ჩართულობა თვითმმართველობის განვითარების პროცესში?**

- ამის გაზომვა რთულია. მე ამჯერად ილინოისის შტატში, ჩიკაგოში ვიყავი, ორი წლის წინათ, სხვა პროგრამით - ჯორჯიის შტატში. ამდენად ამ ორი შტატის თვითმმართველობაზე მაქვს წარმოდგენა, მაგრამ, არ შემიძლია ვთქვა, რა ხდება სხვა შტატებში. პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ ჩიკაგო დიდი ქალაქია და ამხელა ქალაქის შედარება ჩვენთან არ შეიძლება.

ილინოისის შტატში აქვთ მოქალქეთა ჩართულობის ხელშეწყობის ძალიან საინტერესო ფორმები. მაგალითად, ერთ-ერთი არის მონაწილეობითი ბიუჯეტირება. ეს ჩიკაგოში გამოგონილი ფორმა არ არის. ამ ფორმის გამოყენება 1980-იან წლებში ბრაზილიაში დაიწყეს, 2009 წელს ჩიკაგომაც დაიწყო განხორციელება. რას ითვალისწინებს მონაწილეობითი ბიუჯეტირება? ბიუჯეტის რაღაც ნაწილი პირდაპირი წესით ეძლევათ მოქალაქეებს განსაკარგავად. მათ ეკითხებიან, ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს. ჩიკაგოს შემთხვევაში ეს ხორციელდება ნაწილობრივ. 50 ოლქია ჩიკაგოში. აქედან 9-ში ხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტირება. ამ ოლქებს, მიცემული აქვთ მთელი ქალაქის ბიუჯეტის დაახლოებით ერთი პროცენტი, შემდეგ ტარდება არჩევნების ტიპის პროცედურა. ბიულეტენებში არის პროექტების ჩამონათვალი, მოკლედ აღწერილი სავარაუდო ხარჯითა და შედეგით. ამ პროექტებიდან სასურველს მოსახლეობა აძლევს ხმას. შესაბამისად გამარჯვებული პროექტები ხორციელდება. საინტერესოა ისიც, რომ ამ პროექტების წარდგენასაც მოქალაქეები აკეთებენ. ასახელებენ სავარაუდო პროექტებს, რომელსაც კენჭი უნდა უყარონ. მუნიციპალიტეტი აკეთებს მხოლოდ ამის დათვლას, ასევე უზრუნველყოფს ლოჯისტიკას.

XXX

პროფესიული პრაქტიკის პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და მას საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვეთში, უკრაინასა და რუსეთში ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები. პროგრამის მიზანია ფინალისტებმა გაიღრმავონ ცოდნა ამერიკის საკანონმდებლო პროცესებზე, გააცნობიერონ საზოგადოების როლის და მოქალაქეთა პოლიტიკაში ჩართულობის მნიშვნელობა, დამყარდეს თანამშრომლური ურთიერთობა ამერიკულ და უცხოურ ორგანიზაციებს შორის, ერთობლივი ძალებით შემუშავდეს საერთო პრობლების პრაქტიკული გადაწყვეტა.

ესაუბრა **მარი კოძოევი**

# „თუ განაახლებს ეს ხალხი სამუშაოებს, აქციები ისევ გაგრძელდება“

**ალიონი.** სოფელი ლიხაური ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებით, რომელიც საქვეყნო საქმისთვის იბრძოდა. ასეა დღესაც.. ლიხაურელებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ორი პეტიცია წარადგინეს, საიდანაც ერთში სოფლის საბავშვო ბაღის კაპიტალურ რემონტს ითხოვდნენ, ხოლო მეორე მდინარე აჭისწყლის აუზში ქვიშა-ხრეშია აკრძალვას შეეხებოდა.

**–„როგორ ამოქმედდა ელექტრონული პეტიციის** მექანიზმი საკრებულოში. ჩვენი მოქალქეები აქტიურად იყენებენ მას. სწორედ მათი გააქტიურება და თვითმმართველობის ორგანოებთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის ხელშეწყობაა ელექტრონული პეტიციის დანერგვის მიზანიც.“

- განაცხადა პეტიციების განხილვის წინ საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ.**

— *საბავშვო ბაღები ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტულია. ამ ეტაპზე ლიხაურის საბავშვო ბაღში სამი ასაკობრივი ჯგუფი ფუნქციონირებს, სოფელში შობადობა მაღალია და მშობლები მეოთხე ჯგუფის გახსნას ითხოვენ, მაგრამ ბაღის შენობა კაპიტალურ რემონტს ითხოვს.*

*კატასტროფულ მდგომარეობაშია შენობის სახურავის უკანა მხარე, წინა ფასადი შესაცვლელია, ახალი ჯგუფისთვის ოთახები მოსაწყობია. ასევე მოსაწყობია გათბობის სისტემა და ეზო მოსაწესრიგებელია, უნდა დაიდგას ახალი ატრაქციონები* —განაცხადა ბაღის მენეჯერმა **ნათია გობრონიძემ.**

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის **ლავრენტი ბიგვავას** განმარტებით, ეს საკითხი კომისიის მიერ შემუშავებულ კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმაში, სოფელ ლიხაურის მაჟორიტარის ინიციატივით, უკვე ასახულია.

დიდი კამათი გაიმართა ლიხაურელთა მიერ ინიცირებული მეორე პეტიციიის განხილვისას, რომელიც **მდინარე აჭისწყლის ხეობაში ქვიშა-ხრეშის მოპოვებას შეეხება.**

—„*სოფელი ლიხაური არის ტურისტული ზონა. ყველას მოგეხსენებათ, რომ აჭისწყლის წყალის ხეობა არის უნიკალური, ეს სიმდიდრე უნდა შევუნახოთ ჩვენ მომავალს და ქვეყანას. ტურისტებისთვის ეს ადგილი არის ერთ - ერთი მიმზიდველი, აქედან გამომდინარე, ლიხაურელებს სურთ, ეს სოფელი უფრო განვითარებული და წარმატებული იყოს. დიდი საშიშროება, რომ ეს უნიკალურობა, რაც აქვს აჭის ხეობას, დაეკარგოს. მოსახლეობას ეს ნამდვილად არ გვინდა, დარწმუნებული ვარ — არც ხელისუფლების წარმომადგენლებს. მდინარე აჭისწყალი მდიდარია თევზის უნიკალური ჯიშებით, უზრუნველყოფს სოფელ ლიხაურსა და დაბა ანასეულს სასმელი და ტექნიკური წყლით. აჭისწყლის ხეობა უნდა გამოცხადდეს სარეაკრიაციო ზონად. თუ კი ამ საკითხის მოგვარებაში დაგვეხმარებით, დიდი მადლობელი დაგრჩებით*“,— თქვა ბიუროს სხდომაზე პეტიციის ერთ-ერთმა ინიციატორმა, პედაგოგმა **ირმა გორდელაძემ.**

— *„ეს საკითხი არის სიღრმისეულად შესასწავლი, რადგან რეკ-რიაციულ ზონად გამოცხადებას ად-გილობრივი ხელისუფლება არ იღ-ებს და მთავრობის დონეზე გადასაწყვეტი საკითხია. საკრებულომ უნდა იმოქმედოს თავის უფლებამოსილების ფარგლებში, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, პეტიცია გადაეგზავნება რეაგირებისათვის მუნიციპალიტეტის მერიას. ამასთან პეტიციაში დასმულ საკითხს შეისწავლის აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და წარმოდგენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს"*, — განმარტა ბიუროს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ.**

—„*არ შეიძლება ამ მდინარეზე კარიერები და თქვენთან იმიტომ მოვედით, დაგვეხმაროთ და გამონახოთ ის გზა, რომელიც მისაღები იქნება ხალხისთვის"*, — უპასუხა ღურჯუმელიძეს **ირმა გორდელაძემ.**

საკრებულოს თავმჯდომარის დავითა დარჩიას თქმით, კომისია აუცილებლად შეისწავლის ამ საკითხს და დეტალურად მიიღებს პასუხს სოფელ ლიხაურის მცხოვრებლები. ასევე, პეტიცია გაეგზავნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

გაზეთ „ალიონის“რედაქტორმა **ნუგზარ ასათიანმა** აღნიშნა, რომ *მდინარე აჭისწყლის ხეობას რამდენჯერმე ჰქონდა პრობლემა. 1990 წელს გავლენიანი პირები აჭის წმინდა გიორგის ეკლესიის ზემოთ აპირებდნენ საკალმახე მეურნეობის მოწყობას, დაიწყეს მიწის სამუშაოები, რაც მდინარის ხეობას დააზიანებდა. იმჟამად ნინო თოიძის საზოგადოებამ იაქტიურა. 1991 წელს ცნობილმა წყალდიდობამ, რომელმაც ოქროსმუხურო-ნიაბაურის დამაკავშირებელი ეიფელის კონსტრუქციის ხიდიც კი წაიღო.*

*სამი წლის წინ ქუთაისელი მეწარმე შემოვიდა სოფელში, რომელსაც ჰქონდა წიაღისეულის ეროვნული სააგენტოს ლიცენზია აჭისწყლის ხეობაში, ე.წ „დევის ქვის“ მიმდებარედ ბაზალტის კარიერის გახსნის შესახებ. სოფლის ახალგაზრდების და გაზეთ „ალიონის“ აქტიურობით მეწარმეს განზრახვაზე ხელი აალებინეს.*



***სამწუხარო ის არის, რომ ასეთი მეწარმეები წიაღისეულის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიით შემოდიან სოფელში და მოსახლეობას ფაქტის წინაშე აყენებენ**. რამდენიმე წლის წინ ოზურგეთის გამგეობაში იყო საუბარი აჭისწყლის ხეობის აღკვეთილად გამოცხადების შესახებ, რაზეც მუშაობა უნდა გაგრძელდეს.*

საკრებულოს დეპუტატ **ლევან მგელაძის** თქმით, ლიხაურელთა მოთხოვნა არის სამართლიანი და დროულად საჭიროებს განხილვას.

—„მოხარული ვარ ამ პეტიციით. მინდა დავაყენო საკითხი, რომ ყველა ის მდინარე შევისწავლოთ, სადაც არის კარიერები. არაერთ სოფელში არის ეს კარიერები და მოსახლეობა ხშრად აპროტესტებს. **მინდა ვთქვა, რომ კონტროლი არ არის, ვის რამდენი ქვა-ღორღი გააქვთ და ეს არის მთავარი პრობლემა.როცა მეწარმე ოზურგეთში მოდის, ლიცენზიით, მათ ყველას აქვს ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობა.** განადგურების პირას არის მდინარეები და აუცილებლად მისახედია ეს საკითხი. სოფელ ნაგომარში მალე მდინარე ცენტრალურ გზაზე გამოვა და საშინელება მოხდება“, — თქვა დეპუტატმა.

ირმა გორდელაძემ ბიუროს სხდომაზე განაცხადა, რომ წიაღისეულის სააგენტოდან ოფიციალური ინფორმაცია მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ ორი ინდმეწარმე დაჯარიმდა.

–„კი, ბატონო, ასეა და ის ორი იმდმეწარმე აღარ მუშაობს, მაგრამ კიდევ ოთხ ინდმეწარმეს აქვს აღებული აჭის წყალზე ქვა-ღორღის მოპოვების უფლება და არავინ იცის, როდის დაიწყებენ სამუშაოებს. სოფლის გადაწყვეტილება უცვლელია – **თუ განაახლებს ეს ხალხი სამუშაოებს, ისევ გაგრძელდება აქციები და არ მივცეთ მათ მუშაობის დაწყების საშუალებას. პირდაპირ გეტყვით – ბომბზე ვზივართ, რადგან არ ვიცით, როდის დაიწყებენ მუშაობას**", - აღნიშნა **ირმა გორდელაძემ.**

# არა სააკაშვილს! არა ბოკერიას! არა ვაშაძეს! არა "ნაცმოძრაობას" და მის ნამსხვრევებს!

## „პატრიოტთა ალიანსის" აქციას ბათუმში ოზურგეთიდან 1200 მეტი კაცი შეუერთდა



**ალიონი** 23 ნოემბერს „პატრიოტთა ალიანსის" მიერ ბათუმში გამართულ აქციას „არა სააკაშვილს, არა ბოკერიას, არა ვაშაძეს, არა ნაცმოძრაობას და მის ნამსხვრევებს" ოზურგეთიდან 1200 მეტი ადამიანი შეუერთდა. ამის შესახებ „ალიონს" შოთა გოგიბერიძემ განუცხადა.

„ბათუმში პატრიოტთა ალიანსის" მიერ გამართულ აქციებზე 1000 კაცზე ნაკლები არასდროს ჩაგვიყვანია. ერას მოედანზე დღევანდელ აქციას ოზურგეთიდან 1200-ზე მეტი კაცი შეუერთდა", - გვითხრა გოგიბერიძემ.

„ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ გამოსულმა ირმა ინაშვილმა და „პატრიოტთა ალიანსის" სხვა ლიდერებმა, ასევე აქციაზე მოსულმა აურაცხელმა ხალხმა ლოზუნგით „ არა სააკაშვილს, არა ბოკერიას, არა ვაშაძეს, არა „ნაცმოძრაობას" და მის ნამსხვრევებს, არა კოჰაბიტაციას, არა წარსულში დაბრუნებას, არა მკვლელებს, არა მოძალადეებს", სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის გასამართლება მოითხოვეს.

ანალოგიური მოთხოვნით აქცია 25 ნოემბერს თბილისშიც გაიმართება.

# გიორგაძის ქუჩის რეაბილიტაცია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გიორგაძის ქუჩაზე 511 მეტრი სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

გიორგაძის ქუჩასთან ერთად რეაბილიტირდება შევარდნაძისა და გენიჩესკის ქუჩებიც, რომლის საერთო ღირებულება 717 000 ლარს შეადგენს.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.



სამუშაოებს შპს „ერ ტე დე" ახორციელებს, რომელიც ხვალ დასრულდება.

პროექტის მიმდინარეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **მერი კონსტანტინე შარაშენიძე**, მოადგილე **ოსიკო თოთიბაძე,** გუბერნატორის მოადგილე **გიორგი თურმანიძე** და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **თემურ გიორგაძე** დაესწრნენ.

# საჭადრაკო კლუბი „გურია" საქართველოს V საკლუბო ჩემპიონატის პრიზიორი გახდა

საკლუბო ჩემპიონატები ჭადრაკში მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული და ფართოდ გავრცელებული სპორტული ასპარეზობაა, რომელსაც მრავალწლიანი ისტორია აქვს. ბევრ ქვეყანაში იმდენად დი-დია კლუბების რაოდენობა, რომ ჩემპი-ონატებს როგორც ფეხბურთშია, რამდენიმე ლიგაში მართავენ (მ.შ. თურქეთშიც კი). მსგავსი ღონისძიებები სხვადასხვა ფორმით საბჭოთა პერიოდშიც იმართებოდა, ოღონდ ძირითადად სპორტულ გაერთიანებებს შორის. მაგალთად „შევარდენი", „დინამო", შრომითი რეზერვები", „კოლმეურნე", სკა, „ბურევესტნიკი" და სხვა. (სხვათაშორის „კოლმეურნის" სსრკ პირველობაზე ჩემპიონობა მოპოვებული აქვს ოზურგეთის სახე-ლით მოასპარეზე **ოლია შათირიშ-ვილს** და მზია წერეთელს)).საინტერესოა ასევე, რომ კლუბის წევრები შეი-ძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ 2014 წელს მყარი საფუძველი ჩაუყარა საკლუბო ჩემპიონატების სტაბილურად ჩატარებას. თავიდანვე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მასში საქართველოს რეგიონების წარმომადგენლობას. უკვე ჩატარებული ხუთი ჩემპიონატიდან ორ-ორჯერ თბილისმა და ურეკმა, ხოლო ერთხელ ლაგოდეხმა უმასპინძლა.

მისასალმებელია, რომ საქართვე-ლოს ჭადრაკის ფედერაცია ჭადრაკის განვითარების ინტერესებიდან და მასში ჩა-რთული ძლიერი და პერსპექტული მოჭადრაკეების მასშტაბურობიდან გამომდინარე, ჩემპიონატის საპრიზო ფონდისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხებს ჰყოფს. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა, რომ უკვე ჩატარებულ ხუთივე ჩემპიონატში დიდი იყო ქვეყნის წამყვანი მოჭადრაკეების ჩართულობა, (მ.შ. ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიო და ევროპის პირველობების გამარჯვებულები და პრიზიორები და სხვა). ოზურგეთის საჭადრაკო კლუბმა „გურიამ" ხუთი ჩემპიონატიდან სამში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ ქვეყნის 5-7 რეგიონს იტოვებდა უკან.

რიგით მეხუთე საკლუბო ჩემპიონატი, რომელსაც 14-22 ნოემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობდა, ახლაც ქვეყნის უძლიერესი მოჭადრაკეების ფორუმად იქცა. ოზურგეთის საჭადრაკო კლუბ „გურიას "სათანადო სამივლენებო და საორგანიზაციო ხარჯებთან დაკავშირებული პრობლემების გამო მასში მონაწილეობა თავიდან დაგეგმილი არ ჰქონდა, მაგრამ ეს საკითხი მუნიციპალიტეტის მერიამ და სამხარეო ადმინისტრაციამ ერთად დადებითად გადაწყვიტა. ერთ-ერთ მთავარ საკითხად ექვსი მოჭადრაკისაგან შემდგარი გუნდის დაკომპლექტება იყო, რადგან კლუბში მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეების მოწვევა საკმაო ხარჯებს მოითხოვს, ეს ხარჯები კი გაცილებით დიდია, თუ უცხოელ ,ან ადგილობრივ დიდოსტატს მოჭადრაკეს იწვევ. ამ საკითხის გადაწყვეტაში განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს „გურიას" წევრები ეროვნული ოსტატი **სანდრო ებრალიძე** და ფიდეს ოსტატი **ნიკა ჩხაიძე,** რომლებმაც უანგაროდ იზრუნეს საკმაოდ კვალიფიური და საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლი გუნდის ჩამოყალიბებისათვის.

საკუთრივ ჩემპიონატი, როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესოდ და საკმაოდ დაძაბულად წარიმართა, რასაც ხელს უწყობდა ისიც, რომ პარტიების შედეგები შედიოდა ფიდეს რეიტინგების ათვლის სისტემაში. საბოლოოდ პირველი ადგილი და ჩემპიონობა 13 ქულით მესამედ მოიპოვა საჭა-დრაკო კლუბმა „ნონა", რომელიც ევ-როპის ორგზის ჩემპიონია. 11-11 ქულით შესაბამისად გაიყვეს ადგილები თბილისის „თბილისმა" და რუსთავის „რუსთავმა". ჩემპიონატის დახურვაზე განსაკუთრებულად აღინიშნა საჭადრაკო კლუბ „გურიას" ბრიწყინვალე შედეგი და დამსახურებული საპრიზო ადგილი. მან 8 ქულა დააგროვა და უკან ჩამოიტოვა გასული წლების ჩემპიონები და პრიზიორები- ქუთაისის „იმერეთი", ზუგდიდის საჭადრაკო კლუბი, თელავის „კახეთი", ქვემო ქართლის "რუსთავი 2", თბილისის „ამომავალი ვარსკლავი" და სხვ. გუნდის წარმატებაში **ნიკა ჩხაიძეს**ა და სანდრო ებრალიძესთან ერთად, წვლილი შეიანეს საერთაშორისო ოსტატმა **ბაჩანა მორჩიაშვილმა,** საერთაშორისო დიდოსტატმა **თამარ წერეთელმა,** ეროვნულმა ოსტატებმა **ნიკა ცომაიამ** და **ელენე კოსტავამ.**

საჭადრაკო კლუბმა „გურია" მიღწეული წარმატებისთვის, ფულადი ჯილდოს სახით დაწესებული 3 ათასი ლარი მიიღო, რომელიც გუნდის წევრებს თანაბრად გაუნაწილდა. გარდა ამისა , საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია კლუბს ინსტიტუციური განვითარებისათვის ეტაპობრივად გადასცემს სხვადასხვა ინვენტარს და აღჭურვილობას (მაგიდები, სკამები, ელ-ექტროსაათები, კომპიუტერი და სხვ.).

**ზურაბ ანდღულაძე**

საჭადრაკო კლუბ „გურიას" პრეზიდენტი

# იგავ-არაკების ახალი კრებული




**გიგა დოლიძის** შემოქმედების ნაწილობრივი გაცნობის შესაძლებლობა ამ კრებულის გამოცემამდე მქონდა და მაშინ ვურჩიე ავტორს, რომ მას უფრო იგავ-არაკები ხელეწიფებოდა, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ პოეზია დავუწუნე.

ისეთი უძველესი ჟანრი, როგორიც იგავია, თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან თითქმის გამქრალია და ბატონმა გიგამ ერთობ საშურ საქმეს მოჰკიდა ხელი და მკითხველს ცინცხალი იგავ-არაკების კრებული გამოუცხო.

კრებულში 80-ზე მეტი გალექსილი იგავია. ზნეობრივ-დამრიგებლურ თხზულებებში დომინირებს ალეგორიით, იუმორით, სატირით, კომიკურობით, ნართაული გამოთქმებით გაჯერებული სიყვარულის, მეგობრობის, თანადგომის, ერთობის, სიკეთისა და ქველმოქმედების თემები.

წიგნში განთავსებულ იგავთა გმირები — ცხოველები, მცენარეები, საგნები, ზღაპრული არსებები უმეტესად თექვსმეტმარცვლოვანი შაირით მეტველებენ და საზოგადოებამდე ამომწურავად მიაქვთ სათქმელი. ამ პერსონაჟთაგან რამდენიმე ისეთია, ადვილად ვერ შეელევა და არ დაივიწყებს მკითხველი.

იგავებში — „დათვი, მგელი და ტურა", „მელია და ბატები", „მავნე დიდი ბაზი და პატარა კეთილი ფუტკარი", „ჭიამაია და ჭიანჭველები", „კურდღლის სიზმარი" და ა. შ. ნათლად ჩანს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი, გაუხუნარი ღირებულებები, რომელთა გადაფასებას აუცილებლად მოჰყვება გამოუსწორებელი შედეგები. ამდენად, კრებულში, შეგონებებთან ერთად ამ შეცდომათა დაუშვებლობის გზებსაც ნახავს სამივე თაობის მკითხველი.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ, **გიგა დოლიძის** სახით, კარგი მეიგავე გამოჩნდა გურიაში. წარმატებები ვუსურვოთ ავტორს!

**თემურ მარშანიშვილი.**

# „მიეცი ნიჭსა გზა ფართო"...

ჩვენ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გიგა ჭაღალიძე გამარჯვებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების და სამუზეუმო გაერთიანების ორგანიზებით შემუშავებული პროექტისა „მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია".

გიგა ხუთი წლის წინათ ჩამოვიდა კახეთიდან. გურიის სიყვარულმა მიაღებინა კონკურსში მონაწილეობა. მან ბევრი წაიკითხა, ბევრიც მოიძია ოზურგეთის ისტორიის შესახებ და ამტკიცებს, რომ ბევრი რამ გამოსაკვლევია. გადაწყვეტილი აქვს, ფეხით შემოიაროს ოზურგეთის, თხოვოს არქეოლოგებს და ჩაერთოს გურიანთაში (ვაშნარში) მიმდინარე არქეოლოგიორ სამუშაოებში.

გიგამ პროექტის ფარგლებში მოიძია და დაამუშავა შეუდარებელი „კრიმანჭულის" ისტორია. ეს სიმღერა მართლაც გვირგვინია ადამიანის მუსიკალურ ბგერათა და ამიტომ შეერქვა მსოფლიოს „მერვე საოცრება".

სიკეთე გადამდებია, — გვასწავლის ჩვენი სკოლის დირექტორი ლალი სიჭინავა, სიყვარულიც გადამდებია, — ასე გვეუბნება კლასის დამრიგებელი მანანა სკამკოჩაიშვილი, სიხარულიცა და წარმატებაც გადამდებია, — დასძენს ნატო მასწავლებელი.

გიგას წინსვლითა და წარმატებით მართლაც გახარებულები ვართ, ვამაყობთ მისით.

გვახსენდება გრიგოლ ორბელიანის „სადრეგრძელო":

*„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,*
*თაყვანისცემა ღირსებას.*
*ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს*
*და არა გვარიშვილობას."*

**ნინო ჯაველიძე,**

ცხემლისხიდის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

# კატამ ტელეწამყვანის მრავალმილიონიანი საცხოვრებელი გაანადგურა

ამერიკული ტელეშოუს „ცეკვები ახალგაზრდა ვარსკვლავებთან" წამყვანმა ფრენკი მუნიზმა თვიტტლერში თქვა, როგორ დაკარგა მთელი ქონება იმის გამო, რომ მისმა კატამ ისწავლა წყლის ონკანის გაღება.

მუზინის სიტყვებით, ის რამდენიმე დღის წინ ბიძის დაკრძალვაზე წავიდა და როცა დაბრუნდა, ხუთიდან ოთხი სართული დატბორილი დახვდა.

„ყველაფერი, რაც მქონდა, განადგურებულია. ყველა კედელი, ხელოვნების ნიმუშები, პირადი ფოტოსურათები, ავეჯი... ყველაფერი იმის გამო, რომ რამდენიმე დღის წინ ჩემმა კატამ შემთხვევით გაალო ონკანი" - წერს აქტიორი.

მუზინმა თქვა, რომ ორი დღის განმავლობაში უფრო მეტი იტირა, ვიდრე მთელი ცხოვრების განმავლობაში. ის მოშვებულად გრძნობდა თავს ნათესავის გარდაცვალების შემდეგ და გადაღლილი იყო 45-საათიანი მგზავრობით საფრანგეთიდან ამერიკაში და პირიქით. „მაპატიეთ, მე უბრალოდ მჭირდება მხარდაჭერა", — აღნიშნა წამყვანმა.

გამომცემლობა **Inside Edition**-ი აზუსტებს, რომ ზარალი შეფასებულია რამდენიმე მილიონ დოლარად.

# ტყვეთა სყიდვა საქართველოში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

დას. იხ. „ალიონი,“№42,44




რუსეთის ხელისუფლების ღონისძიებებს ადამიანთა ვაჭრობის აღსაკვეთად დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდნენ ადგილობრივი თავადები და აზნაურები, რომლებიც ტყვეთა სყიდვის აკრძალვის შემთხვევაში შემოსავლის მთავარ წყაროს კარგავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო აფხაზეთში. რუსი მოხელეები ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნავდნენ, რომ ტყვეთა სყიდვის ჩერქეზეთში აღკვეთის შემთხვევაში ჩერქეზებმა და აფხაზებმა უნდა დაკარგონ საარსებო საშუალებათა მოპოვების წყარო. რუსი მოხელეები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ტყვეთა სყიდვის აღმოფხვრის შემდეგ აფხაზებსა და ჩერქეზებს უნდა გაუხსნან არსებობის საშუალებათა მოპოვების სხვა გზები, რათა ისინი „არ იქნან მიყვანილი იქამდე, რომ თავზე ხელი აიღონ, რაც შეიძლება გამოიხატოს ქრისტიანეთა, უპირატესად რუსთა, წარტყვევნასა და ამ ტყვეებით ვაჭრობაში, რაზედაც უკან არ დაიხევს ეს მხეცური ჩვეულების მატარებელი ხალხი." მიუხედავად ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებისა, აფხაზეთში ტყვეებით ვაჭრობა ყვაოდა არა მარტო XIX საუკუნის დამდეგს, არამედ 50-60 წლების შემდეგაც. 1860-1861 წლებში ხელისუფლების დავალებით პოლკოვნიკმა **კონიარმა** გამოიკვლია აფხაზეთში შექმნილი ვითარება. დადასტურდა, რომ ადათობრივი სამართლით, აფხაზეთში დაშვებული იყო მონად გადაქციათ: 1. თავისუფალი მოსახლკარე; 2. გამოსყიდული ტყვე; 3. ვალის ვერგადამხდელი; 4. გამოუსწორებელი ბოროტმოქმედი; 5. მოღალატე; 6. ნაცთუნები ქალი და სხვა. აფხაზეთში ტყვეების (მონების) მთელი წოდება არსებობდა. აფხაზურად ამ წოდების წარმომადგენელს **„ახაშალა“**, (ზედმეტი) ეწოდებოდა. ისინი საზოგადოების ნაწილად არ ითვლებოდნენ. ახაშალა შეიძლება გადსულიყო **„აგრივას,“ „ახუვეს**“(გლეხის, მოჯალაბის) წოდებაში. აგრივას უფლება ჰქონდა, მფლობელის ნაბართვით ოჯახი შეექმნა და ცალკე მოსახლკარე გამხდარიყო, აგრივა შეიძლება გადასულიყო **„ანაივას“** წოდებაში, (თავისუფალი, მაგრამ ბეგარავალდებული მოსახლკარე). გაყიდვის შემთხვევაში, ახაშალას ფასი 450 მანეთს აღწევდა. თუ გოგონა ლამაზი იყო, ფასიც შესაბამისად იზრდებოდა.1868 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის შედეგად დადგინდა, რომ ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგში 1.278 მონა (ახაშალა) იყო, მათ შორის 831 მამრობითი სქესისა და მდედრობითისა.

ტყვეთა ვაჭრობით აფხაზეთს არ ჩამოუვარდებოდა **სამურზაყანო.** 1827 წელს აქ შექმნილი ვითარების შესახებ გენერალ **ნიკოლაი სიპიაგინისადმი** წარდგენილ მოხსენებაში პოლკოვნიკი **ბებუთოვი** აღნიშნავდა, რომ სამურზაყანოელი თავადები, აფხაზთა ახლობელი მეზობლები, „ტყვეებით ვაჭრობით, ქურდობით და ყაჩაღობით სავსებით ემსგავსებიან ამ უკანასკნელთ.“ შემდეგ ბებუთოვი აგრძელებს: „სამურზაყანოს მცხოვრებნი ჩვენი ჯარის მიერ სამურზაყანოს დატოვების შემდეგ ნელ-ნელა ისევ უბრუნდებიან ტყვეებით ვაჭრობას და სხვა მიუტევებელ საქმეებს“, რადგან არავისი არ ეშინიათ. სამურზაყანოელი თავადები ადამიანებს იტაცებდნენ არა მარტო იმერეთსა და სამეგრელოში, არამედ თვით სამურზაყანოშიც. სამეგრელოს მთავარი ადამიანების გატაცებასა და ტყვეებით ვაჭრობაში ბრალს სდებდა სამურზაყანოელ თავადებს: **თემურყვა ანჩაბაძეს, დათა ანჩაბაძეს, სესირყვა ემხვარს, ჯამულეთ მარღანიას, ალ. შერვაშიძეს.** რუსეთის ხელისუფლებას ამ თავადების დაპატიმრება და დასჯა საშიშად მიაჩნდა. ოფიციალურ დოკუმენტში ეს შემდეგნაირად არის ახსნილი: „თითქმის ყოველ სამურზაყანოელ თავადს, აქვს რა ნათესაური კავშირი აფხაზეთისა და წებელდის თავადებთან, რომ არა ვთქვათ-რა მათს მეზობლებზე (იგულისხმებიან ჩერქეზები—ვ. გ.), მეტად ადვილად შეუძლიათ გააღრმაონ ხალხის უკმაყოფილება და ხელსაყრელ შემთხვევაში სამურზაყანოში გამოიწვიონ მღელვარება. ჩვენს ხელისუფლებას კი სამურზაყანოში არა ჰყავს სამხედრო ძალა და მეტად გაუჭირდება აღმოფხვრას იქ ბოროტება და აღადგინოს წესრიგი.“

ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ დროდადრო ტყვეებით მოვაჭრე სამურზაყანოელ თავადებს რუსეთის ხელისუფლება ლოიალურად ეპყრობოდა. პოლკოვნიკი ბებუთოვი მოითხოვდა, რაც შეიძლება დაეჩქარებინათ სამურზაყანოში რუსეთის ჯარების შეყვანა. პოლკოვნიკი დაასკვნიდა: რუსეთის ჯარის შეყვანის შემდეგ ტყვეებით მოვაჭრე სამურზაყანოელი თავადები შეშინდებიან და სხვა საქმეს მოჰკიდებენ ხელსო.

**გურიაში** ტყვეებით ვაჭრობა სამეგრელოსთან, აფხაზეთთან, წებელდასა და სამურზაყანოსთან შედარებით კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს აღწევდა. ეს უპირატესად ოსმალეთის უშუალო მეზობლობით აიხსნებოდა. გურიის მდივანბეგების, თავად **სვიმონ გუგუნავასა** და თავად **გიორგი ერისთავის** მიერ 1818-1822 წლებში ტყვეებით ვაჭრობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში აუარებელი ცნობებია დაცული ტყვეთა სყიდვის შესახებ. აი, რამდენიმე მათგანი: *ოტიელა და კაკაბა კანდელაკიშვილები უჩიოდნენ გოგითაიას, რომ მან მიიტაცა მათი ნამზითვი გოგო, გარყვნა და მერე გაყიდა; ივანე ჩანტლაძე უჩიოდა იესელა რამიშვილს, რომ მისმა შვილმა, გაბრიელმა, მამამისის დახმარებით მოიტაცა ივანე ჩანტლაძის გოგო და გაყიდა ოსმალეთში.* ასეთი მაგალითები ბევრია სასამართლოს გადაწყვეტილებათა ოქმებში. სასამართლოში ადამიანებით მოვაჭრე გამოდიოდა, როგორც მოპასუხე და, თუ იგი თავისი უდანაშაულობის დასადასტურებლად 24 მოწმეს ვერ მიიყვანდა, მომჩივნისათვის მხოლოდ ზარალის ანაზღაურება ეკისრებოდა. და ეს მაშინ, როდესაც გურიაში საოჯახო ნივთების, ხარისა და ცხენის ქურდობისათვის უფრო მკაცრი სასჯელი იყო დაკანონებული. სავარაუდოა, რომ გურიის მდივანბეგები კავშირში იყვნენ ადამიანებით მოვაჭრეებთან და წილსაც ღებულობდნენ მათი შემოსავლიდან. სამაგიეროდ, ძალზე მკაცრი იყო მოსახლეობის მსჯავრი: გახურებული შანთისა და მდუღარე წყლის გამოყენება დაკითხვისას და, დანაშაულის დამტკიცების შემდეგ - კოცონზე დაწვა. გურიიდან მარტო მოტაცებულ ქართველებს კი არ ყიდდნენ ოსმალეთში, არამედ პირიქითაც, ოსმალეთში მოტაცებულ ადამიანებს ყიდდნენ გურიაში. ზემოთ ხსენებულ მდივანბეგთა განჩინების ოქმებში აღნიშნულია, რომ ვინმე ბეჟანა უჩივის ვინმე ონისიძეს (დოკუმენტში გვარები არ არის მითითებული — ვ. გ.). ბეჟანას მამას ონისიმესთან ერთად სამი „თათარი“ მოუტაცებია, თითოეული ათას მარჩილად ღირებული. მოტაცებულები ონისიმეს მიუთვისებია და ახლა ბეჟანა ფულად ანაზღაურებას ითხოვდა. გურიაში ადამიანების გატაცება და მათი ოსმალეთში გაყიდვა XIX საუკუნის დამდეგიდან 40 წელზე მეტხანს გრძელდებოდა. გერმანელი მოგზაური **აუგუსტ ფრანც ლუდვიგ ჰაქსტჰაუზენი,** რომელიც გურიაში 1843 წელს იმყოფებოდა, წერდა, რომ გურია მეჩხერადაა დასახლებული, რისი მიზეზიც ყოფილა ოსმალთა გამანადგურებელი თარეში და ბავშვებით ვაჭრობა, რაც თურმე გურიაში მოგზაურის ყოფნის დროსაც გრძელდებოდა ფარულად. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, XIX საუკუნის დასაწყისში სპეციალური საგუშაგოები შეექმნა მდინარე ნატანებზე, ოსმალეთში გადასასვლელ ფონთან.

**ადამიანებით ვაჭრობა იმერეთში.** იმერეთში ადამიანებით ვაჭრობას ხელს უწყობდა იმერეთიდან ახალციხის საფაშოში შეუფერხებლად გადასვლის შესაძლებლობა. ადამიანების მოტაცება და ოსმალეთში გაყიდვა იმერეთში

XIX საუკუნის დამდეგიდან 40-50 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ახალციხიდან რეგულარულად გაჰყავდათ ქართველი ტყვეები ოსმალეთისა და ეგვიპტის მონათა ბაზარზე. მოტაცებული ადამიანებით ვაჭრობის საქმეს ახალციხის ფაშა აწესრიგებდა, რომელიც ტყვეებით მოვაჭრეთაგან დიდ შემოსავალს იღებდა. 1816 წელს საქართველოს მთავარსარდალი **ნიკოლაი რტიშჩევი** რუსეთის იმპერატორს მოახსენებდა: იმერეთში „დღემდე გაბატონებული სიზარმაცისა და უთაურობის“ შედეგად „თავადები და აზნაურები და საერთოდ, იმერელი მემამულეები“ ვერ იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებას „თუ არა მათი ქვეშევრდომი გლეხების ხარჯზე. თითქმის ყველას მიღებული აქვს წესად, რომ კარგი ცხენის, თოფის, ფარჩის და მათთვის საჭირო სხვა საგნისათვის, ასევე მეგობრული საჩუქრების სახით გასცეს თავისი გლეხები, ხოლო ხშირად — რამდენიმე ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მყიდველებს გაჰყავთ იმერეთის საზღვრიდან,“ ე. ი. ოსმალეთში. იმერელი თავადები და აზნაურები მოტაცებულ ადამიანებს ან თავიანთ ყმებს სამეგრელოს გავლით ფოთშიც ყიდდნენ. რტიშჩევმა თავადებსა და აზნაურებს იმერეთის საზღვრებს გარეთ ყმების გაყიდვა აუკრძალა. საქართველოს მთავარსარდალს დაუდგენია, რომ იმერეთის თავადები და აზნაურები თავიანთ ყმებს ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში მევალეებს აძლევდნენ. რტიშჩევი რუსეთის იმპერატორს სთხოვდა დახმარებას, რათა მევახშისათვის ყმის მიცემა კანონით აკრძალულიყო. ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. 1859 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარმართველობის უფროსისადმი გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა: მთელ ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით კი — ოსმალეთის მოსაზღვრე რაიონებში, გავრცელებულია „ცხენის ქურდობა, ტყვეებით ვაჭრობა, ქურდობა, კონტრაბანდისტობა და მძარცველობა“, რაც ხშირად დაუსჯელი რჩებოდა ადგილობრივი პოლიციის უღონობის გამო, რადგან „ცნობილი ქურდები, მძარცველები, კონტრაბანდისტები, ტყვეებით მოვაჭრენი ყოველთვის პოულობენ დასაყრდენს მოსახლეობაში.“ ცხადია, ამ მოსახლეობაში იგულისხმება არა იმერეთის მოსახლეობა, არამედ ახაალციხის საფაშოს მოსახლეობა, უფრო ზუსტად, საზღვრის დაცვის ოსმალო მოხელეები. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის გაგზავნილ პასუხში კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის მოადგილე გრიგოლ ორბელიანი მოითხოვდა, მძარცველები, კონტრაბანდისტები და ადამიანებით მოვაჭრენი ციმბირში გადასახლებით დაესაჯათ.

**ადამიანებით ვაჭრობა ქართლსა და კახეთში.** ადამიანების მოტაცების თვალსაზრისით კიდევ უფრო დაუცველი იყო ქართლ-კახეთი. კახეთში ჭარ-ბელაქნიდან რეგულარულად შემოდიოდნენ ლეკები, იტაცებდნენ ადამიანებს და გაჰყავდათ ისინი ახალციხეში. მტკვრის ხეობით ახალციხის საფაშოდან ქართლში შემოდიოდნენ ლეკთა და ოსმალთა მოთარეშე რაზმები და მოტაცებულიადამიანები ისევ ახალციხეში გაჰყავდათ. ოსებს ქართლში შემოსვლა შეეძლოთ ლიახვისა და არაგვის ხეობებით და ადამიანების მოტაცების შემდეგ იმავე გზით ბრუნდებოდნენ უკან. საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი და სასამართლო ექსპედიციის არქივში ადამიანების გატაცების შესახებ ბევრი მასალაა შემორჩენილი.

აი, ზოგიერთი მათგანი: 1807 წელს ლეკები თავს დაესხნენ გორის მაზრის სოფელ **გუდამეთას** და ტყვედ წაიყვანეს 3 მამაკაცი და 12 ქალი, რომლებიც ახალციხეში გაყიდეს; 1807 წელსვე ლეკები თავს დაესხნენ გორის მაზრის სოფელ **ხიდისთავს** და ადამიანები გაიტაცეს. XIX საუკუნის დამდეგიდან ყოველწლიურად ლეკები 40-50 თავდასხმას აწყობდნენ კახეთისა და ქართლის სოფლებზე. ლეკები ისე გათამამდნენ, რომ ხშირად იერიში ციხეებზეც კი მიჰქონდათ, სადაც მახლობელი სოფლების ადამიანები იყვნენ შეფარებულნი. 1857 წელს ლეკები მოულოდნელად თავს დაესხნენ **დავით გარეჯის** სამონასტრო კომპლექსს, გაძარცვეს იგი და თან წაიღეს დიდი სიმდიდრე. მათ ტყვედ აიყვანეს ბერი **მიტროფანე**, მორჩილი **მიხეილ სერგიაშვილი**, 2 კაცი საგუშაგო რაზმიდან და 1 რუსი ყმაწვილი. ოსები ძირითადად ქართლის სოფლებს ძარცვავდნენ და ადამიანებსაც ქართლიდან იტაცებდნენ. პაველ ციციანოვის მიერ 1803 — 1804 წლებში ჭარ-ბელაქანში მოწყობილმა სამხედრო ექსპედიციებმა, რასაც ლეკების დამარცხება და მათი რუსეთის ქვეშევრდომობაზე დაფიცება მოჰყვა, ვერ აღკვეთა მათ მიერ კახეთსა და ქართლში ადამიანების მოტაცება და ახალციხეში გაყვანა. **საქართველოში ადამიანების მოტაცება და მათი ოსმალეთისა და ეგვიპტის ბაზრებზე გაყიდვა ვერ აღკვეთა რუსეთ-ირანის 1804-1813 წლების, 1826-1828 წლების, რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების, 1828-1829 წლების ომებში რუსეთის გამარჯვებამ. ეს დამღუპველი მოვლენა რუსეთის მიერ ქართული სამეფოების დაპყრობიდან 40-50 წლის შემდეგაც გრძელდებოდა.**

სულთათანა

## მერი დობორჯგინიძე-სოსელიას მოსაგონარი

მტკივნეულია, როცა საყვარელი ადამიანები გვტოვებენ. ძნელია ხედავდე ცარიელს იმ სავარძელს, სადაც მოისაკლისებდი, გაუსაძლისია, როცა უამრავ ხმას შორის არ ისმის მისი.

მაინც რამდენ რამეს შეიძლება გაუძლოს ადამიანმა?

ქალბატონმა **მერი დობორჯგინიძემ** ვაჟკაცურად გადაიტანა მძიმე ოპერაცია.

40 წლის ნაშენები სახლი თვალის დახამხამებაში შთანთქა ხანძარმა-გადაიტანა, უფროსი შვილიშვილის მიშიკო გეგიაძის ავტოკატასტროფაში დაღუპვამ კი გატეხა, გაანადგურა. უჩუმრად ტიროდა მის სურათთან, მაგრამ სტუმრებთან დიდ ტკივილს არ შეიმჩნევდა, თავის დარდსა და მწუხარებას თავზე არვის ახვევდა.

როგორც იტყვიან მტერ-მოყვრის ქალი იყო. სხვის ჭირ-ვარამს გულიანად ინაწილებდა. კეთილ სიტყვას შეაწევდა, დალოცავდა, თბილად მოიკითხავდა.



უანგაროდ ემსახურა საყვარელ საქმეს-ანასეულის ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, თავდაუზოგავად ემსახურა მშობლიურ კუთხეს და საყვარელ ოჯახს.

40 დღე გასრულდა მისი გარდაცვალებიდან. ახლა იგი მოგონებების ბინადრი გახდა. კეთილი და თბილი მოგონებების. მისი ნათელი სახე არასოდეს დაიბინდება ოჯახის წევრების, ნათესავების და მეზობლების მეხსიერებაში.

ღმერთმა სიმშვიდე დაუმკვიდროს მისს სულს.

**უახლოესი მეზობლები.**

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ეთერ ქადეიშვილს, უსაყვარლესი ძმის **ვახტანგ ქადეიშვილის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ეთერ ქადეიშვილის ძმის **ვახტანგ ქადეიშვილის** გარდაცვალების გამო.

მანანა ლომაძე და ნინო ჯაველიძე თანაუგრძნობენ ეთერ ქადეიშვილს ძმის **ვახტანგ ქადეიშვილის** გარდაცვალების გამო.

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# მუსიკის გენერალი-ვარლამ სიმონიშვილი


ვარლამ სიმონიშვილი

საქვეყნოდ ცნობილ გურულ მომღერლებს შორის ვარლამ სიმონიშვილს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

გურული ხალხური საგუნდო საქმის ერთგული ბურჯი ვარლამ ოქროპირის ძე სიმონიშვილი დაიბადა 1884 წლის 4 აგვისტოს, სოფ.შემოქმედში.ვარლამის მამა ღარიბი გლეხი იყო,დედა ნინიძის ქალი, სოფიო–მრავალშვილიანი ოჯახის დიასახლისი. ვარლამს ჰყავდა ორი და და სამი ძმა.ერთი ძმა სამხედრო სამსახურის დროს დაიღუპა, დანარჩენი ორი-ევსიხი და პლატონი კარგი მომღერლები იყვნენ.. ვარლამს ჰყავდა ორი შვილი -ზინა და ნესტორი.

სოფელი შემოქმედი ოდითგან გამოირჩეოდა თავისი ტრადიციებით. აქ მოღვაწეობდნენ ქართული სამგალობლო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები, რომლებიც თაობებს გადასცემდნენ საეკლესიო გალობის მრავალსაუკუნოვან ტრადიცებს. ასეთები იყვნენ: მათე გოგიტიძე, მისი ძმისწული იოანე, იაკობ დუმბაძე, გიორგი დუმბაძე.

ტრადიციებმა თავისი გავლენა იქონია მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ვარლამზე. იგი ჯერ მიუბარებიათ შემოქმედის თემის ორკლასიან სასწავლებელში, რომელიც 1896 წელს დაამთავრა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო სწავლის გაგრძელება ველარ შესძლო. პატარა ვარლამი თავიდანვე იჩენდა ნიჭს სიმღერაში. თავისუფლად ეუფლებოდა გურულ ხალხურ სიმღერას.ამ გარემოების გამო ახლობლების თხოვნით მშობლებმა იგი მიაბარეს გურიაში სიმღერა-გალობის დიდ მცოდნეს ანტონ დუმბაძეს და ვარლამმა სწორედ მისგან შეისწავლა მრავალი სიმღერა, როგორც საგალობელი ისე ხალხური.

თავად ანტონ დუმბაძე (1824 - 1907წწ.) თავისი დროისთვის ცნობილი მგალობელ-მომღერალი იყო (იგი პოლიციის პორუჩიკი გახლდათ), ვარლამ სიმონიშვილი კი ამ საგალობლო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი. ოთხი წლის განმავლობაში ანტონ დუმბაძესთან სწავლის შემდეგ ვარლამ სიმონიშვილი გამოდის სამუშაო ასპარეზზე. 17-18 წლის ახალგაზრდას ნიშნავენ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებლად, ა.მეგრელაძის შემდეგ, რომელიც ფოთში გადავიდა სალოტბარო მოღვაწეობისათვის, ვარლამ სიმონიშვილი პარალელურად მასწავლებლობდა შემოქმედის, გონების კარის და უჩხობის სამრევლო სკოლაში. ეს იყო XX საუკუნის დასაწყისი. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დროს, 1932 წლამდე იგი მუშაობდა სკოლებში და ბევრ ახალგაზრდას ჩაუნერგა მშობლიური მუსიკის სიყვარული.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ოზურგეთში ცხოვრობდა იტალიიდან (ლასკალას თეატრიდან) დაბრუნებული მომღერალი ფილიმონ ქორიძე, რომელიც აპირებდა საგალობლების ჩაწერას. ვარლამ სიმონიშვილის მოგონება:,,ნათესავი ბიჭი წამოვიყვანე ლელვით სავსე კალათით და ამ ნობათით ვეახლე დიდ მომღერალს და მუსიკოს ფილიმონ ქორიძეს, რომელიც ოზურგეთში ცხოვრობდა მოედანზე ფირცხალაიშვილების სახლში. ბატონმა ფილიმონმა მიმიღო და მომისმინა და დავიწყეთ ჩემი თხოვნით სანოტო სისტემის სწავლება,მეც დიდი გულისყურით ვსწავლობდიო". სწავლებასთან ერთად ბევრი საგალობელი და ხალხური სიმღერა ჩააწერინა. ბევრი ანტონ დუმბაძის ნასწავლები იყო ასე ლებულობდა მუსიკალურ ნათლობას, ჩაწვდა მუსიკას და ბოლომდე გაჰყვა ამ საქმეს. მან მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი გააბა საქართველოს ცნობილ ქართველ მომღერებლებთან განსაკუთრებით სამუელ და ილარიონ ჩხიკვიშვილთან, ბესარიონ ინწკირველთან, ანტონ კონტრიძესთან და სხვებთან, რომლებთანაც თანამშრომლობით, გურული ხალხური სიმღერების ფრიად რთული ხვეულების და მოძახილების სხვადასხვა ვარიანტები იხვეწებოდა, საუკეთესო იწერებოდა გრამფირფიტებზე.შესანიშნავმა მომღერალმა (ჰქონდა იშვიათი ბანი), განთქმულმა ლოტბარმა მრავალი ნიჭიერი მომღერლისა და საგუნდო კოლექტივის აღმზრდელმა და ხელმძღვანელმა თავისი საქმიანობით უდიდესი როლი შეასრულა გურიის მხარის კულტურულ ცხოვრებაში. მან გამოამზეურა გურული მუსიკალური ფოლკლორის მარგალიტები. შექმნა ამა თუ იმ სიმღერის განუმეორებელი ვარიანტები, რომელიც სიმონიშვილისეულ ვარიანტებად მოიხსენიება და განსაკუთრებულ სიმღერებამდე აიყვანა წინაპრებისაგან შესისხლხორცეული სასიმღერო მემკვიდრეობა.

პირველად 1903 წელს ვარლამ სიმონიშვილმა ჩამოაყალიბა 15 კაციანი გურული სიმღერების შემსრულებელთა გუნდი,რითაც საფუძველი ჩაეყარა გურულ ხალხურ საგუნდო სიმღერების განვითარების დიდ საქმეს. 19 წლის ახალგაზრდას დიდ დახმარებას უწევდა ფილიმონ ქორიზე. ამ პატარა გუნდით ვარლამ სიმონიშვილი ხშირად მართავდა კონცერტებს ოზურგეთის თეატრში.

1906 წელს ვ.სიმონიშვილმა ჩამოაყალიბა გურულ-აჭარული გუნდი. ამ გუნდში 7 ქობულეთელი მღეროდა, რომელთაც ვარლამისაგან ისწავლეს აჭარულ-გურული სიმღერები და შემდეგ აჭარაში გაავრცელეს.

1908 წელს ვარლამ სიმონიშვილმა თავის ჯგუფთან ერთად მონაწილეობა მიიღო სხვიტორში გამართულ აკაკის იუბილეზე. მათთან აკაკის სურათიც გადაუღია, აკაკიმ მარცხნივ დაიყენა თურმე (სურათი ინახება აკაკის მუზეუმში).აკაკი დაინტერესებულა,ჰქონდა თუ არა ვარლამს სიმღერები ჩაწერილი და მეორე დღესვე წაუყვანია სიმღერების ჩასაწერად. ჩამწერს მომღერლები გალიფებში ჩაცმულები რომ დაუნახავს, უარი განუცხადებია - მაგენია გასაფუჭებელი ფირფიტა სადა მაქვსო! აკაკის ფული შეუთავაზებია, ასე ამღერეს თურმე ვარლამი და მისი გუნდი. უმღერიათ არაჩვეულებრივად-,,შვიდკაცა", ,,ხასანბეგურა",,,ნადური",,,შავი შაშვი" და ა.შ. რასაკვირველია სიმღერები ჩაუწერიათ. შემდეგ ეს ჩანაწერი პეტერბურგის მუზეუმს შეუძენია .ეს ჩანაწერი შემდგომ ბატონ ანზორ ერქომაიშვილს უნახავს.

1909 წელს ვარლამ სიმონიშვილმა სამუელ ჩავლეიშვილის პატარა ჯგუფთან ერთად ქუთაისში ფირფიტაზე ჩაწერა 15-მდე გურული სიმღერა.

1910 წელს ვ.სიმონიშვილის ინიციატივიტ ჩამოყალიბდა ახალგაზრდა გურულ მომღერალთა გუნდი, რომელიც მან შეუერთა გურულ-აჭარულ მომღერალთა გუნდს.გაიმართა კონცერტი,რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, ფილიმონ ქორიძეს კონცერტის დაწყებამდე მოხსენება წაუკითხავს,სადაც მან აღუნიშნავს,ხალხური სიმღერის, კერთოდ, გურული კილოს მნიშვნელობაზე და შეეხო ვარლამ სიმონიშვილის მუშაობას ამ დარგში.ამ გუნდში წარმატებით ჩაატარა კონცერტი ბათუმში.

1913 წელს თბილისში გაიმართა ვაჟა -შაველას საიუბილეო კონცერტი, სადაც კოტე ფოცხვერაშვილის და ია კარგარეთელის აკადემიურ გუნთან ერთად ვარლამ სიმონიშვილის გუნდიც მონაწილეობდა. ვაჟა მოხიბლულა გუნდის მიერ შესრულებული სიმღერებით და გულტბილად უსაუბრია ვარლამთან.

1917 წლის 31 მაისს, თბილისში ოპერის (სახაზინო) თეატრში კონცერტი მოუწვევია კოტე ფოცხვერაშვილს, რომელსაც სიტყვა უთქვამს ქართულ მუსიკაზე, უსაუბრია გურულ-აჭარულ მუსიკაზეც ამ კონცერტში მონაწილეობა მიუღია ქართულ-ხალხურ გუნდს მ.კავსაძის და გურულ-აჭარულ გუნდს ვ.სიმონიშვილის ლოტბარობით.კონცერტზე გამოსულან: მეფანდურე, მესტვირე, მეჩონგურე და რაც საინტერესოა აჭარლებს შეუსრულებია ჭიბონისა და დოლის თანხლებით ცეკვა ,,ხორუმი".

1920 წელს გორში მოხდა მიწისძვრა, რომელმაც დააზარალა ქალაქი და მოსახლეობაც. ვარლამ სიმონიშვილმა ქ.ბათუმში გამართა დიდი კონცერტი ქ.გორის მიწისძვრისაგან დაზარებულთა დასახმარებლად.

შემდგომში ვარლამ სიმონიშვილი ინიშნება გურიის სამაზრო რევოლუციური გუნდის ხელმძღვანებლად.

1921წელს ვარლამს შეუქმნია ოზურგეთის განათლების რაიონული კულტურის საბჭოსთან არსებული გურულ მომღერალთა გუნდი.

1917-1920 წლებში ვარლამ სიმონიშვილი ჩოხატაურის რაიონის ახალგაზრდობას ასწავლიდა ძველ გურულ სიმღერებს. მათ შორის იყვნენ ვლადიმერ ბერძენიშვილი ერმალოზ სიხარულიძე, ევგენი კოროშინაძე, თეოფილე ლომთათიძე, გარსევან სიხარულიძე, ილიკი ჯაყელი.

1920-21 წლებში პედაგოგად მუშაობდა სამტრედიაში, 1921-23 წლებში ოზურგეთში, ხოლო 1923-33 წლებში სოფ. შემოქმედში შვიდ წლიან სკოლაში .1927 წელს ქართველმა საზოგადოებამ იუბილე გადაუხადა სამოელ ჩავლეიშვილს. ამ ღონისძიებაზე მან ვარლამ სიმონიშვილს გუნდშიც მიიღო მონაწილეობა. ამავე წელს ქუთაისში გაიმართა ხალხური შემოქმედების ოლიმპიადა ,სადაც სიმონიშვილის გუნდმა უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. 1929წელს თბილისში გამართულ მეორე რესპუბლიკურ ოლიმპიადზე მისი გუნდი მეორე პრიზს დაეუფლა.

1927 წელს საქართველოს სხვა გუნდებთან ერთად ვარლამ სიმონიშვილის გუნდიც მიწვეულ იქნა მოსკოვში სუმბათაშვილ-იუჟინის საღამოზე, სადაც მას მადლობა გამოუცხადეს კარგი კონცერტისათვის.

1929 წელს, ვარლამ სიმონიშვილი ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკაში ქმნის 90 კაცისაგან შემდგარ ძლიერ გუნდს.ეს იყო გურიაში პირველი დიდი და ძლიერი ანსამბლი (ანსამბლს შემდეგ სათავეში ედგა ვარლამ სიმონიშვილის მოწაფე ესე ჭანიშვილი).ამ ფაბრიკის გუნთან ვარლამ სიმონიშვილს გაუმართავს შემოქმედებითი საღამო, დაჯილდოეული იქნა სამკერდე ნიშნით.


გურული მომღერლების გუნდი, 1928 წ. კურორტ ბახმარო

1935 წელს ვარლამ სიმონიშვილი წითელ არმიელთა გუნთან ერთად მოსკოვს სწვევია. ერთი თვის მანძილზე იქ ჩაუტარებია 10 კონცერტი.ერთ-ერთ კონცერტს თურმე ი.სტალინიც დასწრებია.

1934 წელს არსდება სახელმწიფო ეთნოგრაფიული ანსამბლი, ვ.სიმონიშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც ვარლამი ,,შტაბს" უწოდებდა.ეს ანსამბლი ბრწყინვალე სკოლა იყო გურული სიმღერების შესწავლისა და განვითარებისათვის.მან აღზარდა ნიჭიერი თაობა ლოტბარებისა და მომღერლებისა .სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდს ჰყავდა მეჩონგურეთა ანსამბლი, რომელსაც ვარლამი ასწავლიდა.

1934 წლის 10 ივნისს, გაზეთ ,,კომუნისტში" გამოქვეყნებულა ინფორმაცია, რომ ოზურგეთის გუნდის რეპერტუარი 105 სიმღერას მოიცავდა,ჰყოლია მოცეკვავეთა ჯგუფი და ჩონგურზე და ჭიანურზე დამკვრელებიც.

1934 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დარბაზში მოწყობილ ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე გურულ მომღერალთა გუნდს პირველი ხარისხის სიგელი და ჯილდო მიუღია. დამსწრე საზოგადოება გაოცებული დარჩენილა ვარლამ სიმონიშვილის მიერ ,,ხასანბეგურაში" ნათქვამი ბანით. მას აქვე პირველად შეუსრულებია სიმღერა "ბურთის გამარჯვება", ჟიურის წევრები სანდრო ახმეტელის მეთაურობით სცენაზე ასულა და ბატონი ვარლამი ხელში აუყვანიათ. 1934 წელს აფხაზეთში ჩასულა კონცერტის ჩასატარებლად და მიუწვევიათ სანატორიუმში, სადაც ისვენებდა სტალინი. ვარლამი იქ დაუჯილდოვებიათ 5000 მანეთით.

ვარლამ სიმონიშვილისგუნდი 1937-38 წლებში წარმატებით გამოსულა თბილისში გამართულ ხალხური შემოქმედების ოლიმპიადაზე.

ამ დროისათვის იგი ქმნის ისეთ სიმღერებს, როგორიცაა: ,,გაზაფხული", ,,სოფლად მოდის შემოდგომა", ,,ბაღია ჩვენი ქვეყანა". ,,საქართველოს მზე ეწვია",,,დილა",,,ახლა ვხედავ სიყვარულო",,,დათვმა ლხინი გადიხადა" და სხვა აღნიშნული სიმღერები მის მიერ იყო შექმნილი. ჩონგურის აკომპანიმენტით ანსამბლი დიდი წარმატებით ასრულებდა ვარლამისეული ვარიანტი) ცნობილ ხალხურ სიმღერებს: ,,ჰადილ-ალიფაშა", ,,ძველიშვიდკაცა", ,,შავიშაშვი", ,,ნადური", ,,კალოს ხელხვავი",,,ვახტანგური", ,,მწვანესა და უქუდოსა", ,,ბურთის გამარჯვება გურიაში",,,ძველი აბდალია" და სხვა.

1935 წელს ვ.სიმონიშვილი თავის გუნდათან ერთად მიიწვიეს მოსკოვში საბჭოების მე-7-ე ყრილობაზე. აქ საბჭოთა კავშირის მარშალმა კლიმენტ ვოროშილოვმა ვ.სიმონიშვილი დააჯილდოვა ,საათით,რომელსაც თან ახლდა სათანადო წარწერა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ამიერკავკასიის სამხედო ოლქის სარდლობას გადაუწყვეტია ოლქის მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდის რეპერტუარის გამდიდრება ქართული ხალხური სიმღერებით და ცეკვებით. ამ საქმის ხელმძღვანელად ვარლამი მიუწვევიათ. გაერთიანდა თბილისისა და ბათუმის წითელარმიელთა გუნდები , რომელსაც ვარლამ სიმონიშვილი ჩაუდგა სათავეში . მხედრულ სიმღერებთან ერთად ჯარისკაცები დიდი ოსტატობით ასრულებდნენ სიმღერებს, სამშობლოზე, შრომაზე, მეგობრობაზე. ბევრი მათგანის ტექსტისა და მუსიკის ავტორი თვითონ იყო

1935 წელს საბჭოების მე-7 ყრილობის დასკვნით კონცერტში მონაწილეებს, რომ არჩევდნენ, არჩევანი ვ.სიმონიშვილის გუნდზე შეაჩერეს. ტაშის გრიალით გააცილეს სცენიდან ვარლამი და მისი სამხედრო გუნდი, ცენტრალური გაზეთები ,,პრავდა" და ,,კრასნაია ზვეზდა" მაღალ შეფასებას აძლევდა შემსრულებელთა ოსტატობას. გუნდის წევრები სხვადასხვა ჯილდოებით წაახალისეს.

რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთები ,,კომუნისტი" და ,,მუშა" ათავსებენ წერილებს ვ.სიმონიშვილის ხელმძღვანელობით არსებული მახარაძის რაიონის გურული ხალხური გუნდის კონცერტების შესახებ. რომელიც იმართებოდა სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში, პარკებსა და ბაღებში ,,კონცერტის შედევრს წარმოადგენს ,,ხანსანბეგურა"-ვკითხულობთერთ-ერთ წერილში. ამ სიმღერის გუნდური შესრულება ,,კრიმანჭულის *,,ოთხი-ხუთი მომღერლის მიერ იშვიათი მგალითია საგუნდო ხელოვნების ისტორიაში, ამხ.სიმონიშვილი შესან-იშნავი მეჩონგურეა, ის თხზავდა სახო-ნგურო სიმღერებს და ამით თავისი წვლ-ილი შეაქვს გურულ ხალხურ მუსიკაში*"-ამთავრებს წერილს ავტორი.

ვარლამ სიმონიშვილს მეგობრული ურთიორთობა აკავშირებდა სხვა ქართველ ლოტბარებთან. მასთან ჩამოდიოდნენ რემა შელეგია, მიხეილ გაბელია, ჰასან ცეცხლაძე, კიწი გეგეჭკორი, კირილე პაჭკორია, კოტე ფოცხვერაშვილი და სხვანი. იგი ხშირად ხვდებოდა დიმიტრი პატარავას, არტემ ერქომაიშვილს. ეს შეხვედრები სიმღერა - გალობის დაუვიწყარ საღამოებად იქცეოდა ხოლმეო გადმოგვცემენ. ანზორ ერქომაიშვილის ცნობით არტემ ერქომაიშვილის მამის, შესანიშნავი მგალობელ-მომღერლის გიგო ერქომაიშვილის დაკრძალვის დღეს სამგლოვიარო საგალობლები სწორედ ამ სამეულს შეუსრულებია.

ვარლამ სიმონიშვილმა აღზარდა შესანიშნავი მომღერლების პლეადა, რომელთაც გააგრძელეს სახელოვანი პედაგოგის გზა და მრავალი საგუნდო კოლექტივი დაამშვენეს. მისი მოსწავლეები იყვნენ: **შერმადინ ჭკუასელი, დომენტი ქარჩავა, ვარლამ ვაშალომიძე, ესე ჭანიშვილი**

გვ-7

### ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# მუსიკის გენერალი-ვარლამ სიმონიშვილი

,მიხეილ შავიშვილი, ილარიონ სიხარულიძე, ტელე იობიშვილი, ილარიონ ინწკირველი, აპოლონ ჩავლეიშვილი, ვასილ აბაშმაძე, სოლომონ ჭანუყვაძე, თომა მუჯირი, ვალერიან ქავთარაძე, პავლე ქავ-ყარაძე, დიომიდე მდინარაძე, ივანე ახვლედიანი, თეიმურაზ კვირკველია, გედეონ მჟავანაძე, კარლო ურუშაძე.

ვარლამ სიმონიშვილი გურული პოლიფონიის შედევრებს აზიარებდა აჭარელ, იმერელ, მეგრელ, აფხაზ მოსწავლეებს. მისმა შეგირდებმა სიმღერით მოიარეს ესპანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, ინგლისი, გერმანია.... საქართველოში ძნელად მოიპოვებოდ ფოლკლორული ანსამბლი, რომელთაც რეპერტუარში არ ჰქონოდა ვარლამ სიმონიშვილის სიმღერები. გან-საკუთრებით აღსანიშნავია ვარლამ სიმონიშვილის დამსახურება გურულ საჩონგურე სიმღერების პოპულარიზაციაში. ამ საკრავზე იგი ვირტუოზულად უკრავდა, ქმნიდა მშვენიერ ლირიკულ სიმღერებს.

ომის დროს ვარლამ სიმონიშვილის ამხედრო ჰოსპიტლების დანაწილების ხშირი სტუმარი იყო და ამ პერიოდში მოწყობილიკონცერტების შემოსავალი სახელმწიფო თავდაცვის ფონდში ირცხებოდა. უნდა ავღნიშნოთ ერთი ფაქტიც ომის წლებში ვარლამ სიმონიშვილი დააპატიმრეს ერთხელ თურმე ვიღაცას უკითხავს ვარლამისათვის-ჰიტლერი ,რომ შემოვიდეს რას იზამო? ვარლამს უპასუხია: *ნიკოლოზის დროს ვმღეროდი ,კომუნისტების დროს ვმღეროდი და მაშინაც ვიმღერებ, ჩემი საქმე სიმღერააო.* ამის გამო ვარლამი დაუპატიმრებიათ ციხეში 9 თვე ყოფილა. ციხეში ყოფნის პერიოდში წერილი მიუწერია სტალინისათვის .პასუხმაც არ დააყოვნა და მოვიდა ასეთი შეკითხვით: რამდენი ვარლამ სიმონიშვილია ოზურგეთშიო? ამის შემდეგ ვარლამი გაუნთავისუფლებიათ. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, ღამის სამ საათზე არტემ ერქომაიშვილთან მისულა. არტემს დაპატიმრების მიზეზი უკითხავს .ვარლამს უსიტყვოდ თითი თემისკენ მიუნიშნებია

1991 წელს გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნდა გიზო ჭელიძის წერილი .ვარლამ მასხულიას უამბია მკლევარისათვის,რომ მეზობლისას ვახშმობისას თურმე საგალობლების შესრულებისათვის დაუბეზღებიათ და ჩეკაში დაუბარებიათ მასხულიას დიდ ჩინოსანთან მეზობელი აკაკი ხარატი გამოსარჩლებია -„*მაგ გალობა ვარლამ მასხულიამ სოჭში თქვა სტალინმა ბანი უთხრა. ბანი იცი შენ?*

*—სტალინმა მართლა მოისმინა შენი სიმღერები?-უკითხავს ჩინოსანს მასხულიასათვის.*

—ჰო სოჭში ისვენებდა,მაშინ მოისმინა, აი, თქვენ, რომ დგახართ, ამდენზე იდგა ჩემგან, როცა გაიგო, გურულები მღერიანო, მოვიდა, დაგვიდგა თავში, მე რომ დამინახა,თქვა,სკამზე შეაყენეთ აგი საცოდავი, თუ არა არ ჩანსო...აგვყვა სიმღერაზე, ვარლამ სიმონიშვილმა „ვაიდილა „წამოიწყო ,სტალინმა გაუსწორა, „ვაიდილა „კი არა, „აიდილაო“. ვარლამ მასხულია ჩეკადან გაანთავისუფლეს. სტალინთან სოჭში შეხვედრას ვარლამ სიმონიშვილიც გადაურჩენია.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც :1945 წლის ოქტომბერში სტალინს მოუწვევია აკადემიკოსები: ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია,“ საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს გამოცემასთან დაკავშირებით. საუბარში სხვათაშორის სტალინს უთქვამს, რომ ძალიან მოსწონს გურული სიმღერები, მაგრამ სინანული გამოუთქვამს იმის გამო, რომ გურულებს საგუნდო სიმღერები კამერული შესრულების დონეზე დაუყვანიათო. სტალინს მოუგონებია ვარლამ სიმონიშვილი, როგორც გამოჩენილი მგალობელი , ნაკლებადაა ცნობილი, არადა იგი საგალობლების შესანიშნავი მცოდნე და შემსრულებელი იყო .მან ვერ მოახერხა მომავალი თაობისათვის სრულად ესწავლებინა და გადაეცა გალობის ბრწყინვალე ნიმუშები,მისი მოსწავლეების თქმით „მთავრობა კრძალავდა და იმიტომო“.

ვარლამ სიმონიშვილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1950 წლის 23 მაისს .საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი, მეგობრები, მშობლიური რაიონის ხელმძღვანელები და მშრომელები, მოწაფეები გამოეთხოვა ამაგდარ ხელოვანს და მისი საყვარელი სიმღერების ჰანგებში მიაბარეს მშობლიურ მიწას. დასაფლავებულია შემოქმედის მონასტრის ეზოში. მისი მასწავლებლის ანტონ დუმბაძის საფლავის მახლობლად.

1984 წელს ვარლამ სიმონიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით შემოქმედში (ფატარშიერთ-ერთი უბანია) გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი. შემდგომში არეულობის წლებში ბევრი ექსპონატი დაიკარგა და განადგურდა, ეზო-მიდამო გავერანდა. აღდგენის საქმეს კარგი პირი არ უჩანს.

2004 წელს ვარლამ სიმონიშვილის საიუბილეო წელი იყო, ბევრი დაიწერამასზე, მაგრამ ყველაზე სასურველი და მისასალმებელი აბატონ ანზორ ერქომაიშვილის ქართული ხალხური სიმღერის სამტომეულის“ ქართული ხალხური სიმღერების ოსტატები“-„გურია“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვარლამ სიმონიშვილს და მისს სკოლას.

ოზურგეთისი სტორიულ მუზეუმში დაცულია ვარლამ სიმონიშვილის ფოტოები, სხვადასხვა მასალები მათ შორის მისი გადმოცემით „გურული ხალხური სიმღერის წარმოშობა“. და სხვა.

სპეციალისტების აზრით: ვარლამ სიმონიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ემსახურებოდა ქართული ხალხური მუსიკისა და მისიპროპაგანდის საქმიანობას. იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში კ.ფოცხვერაშვილითან, ლოლუასთან, ა.მეგრელაძესთან, ს.კავსაძესთან, არტემ ერქომაიშვილთან და სხვებთან ერთად ქართული სიმღერისა და ქართული ხალხური საკრავიანი მუსიკის დიდოსტატად.

ამ რამდენიმე ხნის წინ სოფელ შემოქმედის ცენტრში გაკეთდა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც ვარლამ სიმონიშვილის სახელობის უნდა იყოს, მუზეუმი ოფიციალურად ჯერ არ გახნილა, მაგრამ დიდი იმედი მაქვს მუზეუმის ექსპოზიციაში სათანადო ადგილი დაეთმობა ვარლამ სიმონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს.

**მანანა ლომაძე,**
**ლევან ძნელაძე.**

# სკანვორდი



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | პარტია ჩოგბურთში | | ცისფერი მთები |
| | | | | | | | მე-4 ნოტი | | მეტყველების ორგანო | სკივრი | | ვერცხლის საღვინე სასმისი | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | კომპიუტერული „თაგვის“ გამომგონებელი | ჭის სახურავი | | | უშვილო | | | | | |
| | | | | | | | სილიკატების კლასის მინერალი | ყოფილი ირლანდიელი ფეხბურთელი | | | ცეცხლის დასანთები საშუალება | | იდეა | | | ქალის სახელი |
| | | | | | | | | | მდინარე აზერბაიჯანში | | | | | | | |
| | | | | | | | | | ჰოლანდიელი დიდოსტატი ჭადრაკში | | | | | | | შეძახილი ხარის გასაღენად |
| | | | ჭანების სოფელი იმერეთში | | | ანდერძის წიგნი | | | მარტივის ანტიპოდი | | | | | | | პლანეტა |
| | მატლი | | | | | მხუთავი დაავადება | | | | | | | | სპილენძის წითელი მადანი | | |
| | მტაცებელი ფრინველი | | | განთიადი | | | გამოყოფილი თანხა | | | ძვირფასი ჯიშის თევზი | | | | | პროვინცია პანამაში | |
| | | | | მამაკაცის სახელი | | | | | | სახელმწიფო ევროპაში | | | | | პურის სოკო | |
| | | | | | | | | | | | სასოფლო სამეურნეო კულტურა | | | | | |
| | | | ზურგზე მოსაკიდი ჩანთა | მდინარე რუსეთში | | | მხედველობის ორგანო | | | | | | ქალაქი რაჭაში | პატარა საწნახელი | | |

## № 44-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მორის ფოცხიშვილი; ქიმიური ჭურჭელი — სინჯარა; მატყლის ქსოვილი — შალი; ატომის პლანეტური მოდელის შემქმნელი — რეზერფორდი; ჩასაბარებელი რკინა-კაბეული ჯართი; მედიკამენტების მაღაზია — აფთიაქი; ჭრილობა — იარა; ერთი დღის გზა — ექვი; იუპიტერი (ცდომილი) — დია; მეგრული სიმღერა — ოდოია; ჯაშუში — აეშანი; პირველი ასობგერა — ა; არაფერი — არარა; იჯარა — კაბალა; საგნის ჩრდილი — ლანდი; დიდი კოვზი — ჩამჩა; წერილობითი თხოვნა მეფისადმი — აჯა; დიახ — კი; შრი-ლანკა, ანუ... — ცეილონი; ღრეობა — ორგია; სასარგებლო — მარგი; ბაში აჩუკის საყვარელი — მელანო; იაპონური საბრძოლო ხელოვნება — აიკიდო; ვრცელი ჩამონათვალი — არზა; საკურორტო კარმიდამო — აგარაკი; პოეტი ... მირცხულავა — ალიო; ჰორიზონტი — ერისიონი; გასაღები — კლიტე; ვერცხლის სურა — იათული; სუფრის ხელმძღვანელი — თამადა; ხვიარა მცენარე — ლიანა; კავშირი — და; მამის მკვლელი — ნუნუ; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში — არჩეული; განდეგილი — ეული; პარლამენტარი ... მარშანია — ადა; სითხის საზომი — კარჩხალა; ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი — ლი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

„ქართულმა ოცნებამ“ განახორციელა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის უპრეცედენტო პროგრამები, რომლებმაც ადამიანებს წარმოების გაფართოებისა და მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა მისცა.

„ქართულმა ოცნებამ“ დანერგა მაღალმთიანი რეგიონების მხარდაჭერის უპრეცედენტო პროგრამა, რომლის მიზანია მთის გადარჩენა და რომლის უშუალო მოსარგებლე მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ჩვენი ათიათასობით თანამოქალაქეა.

„ქართულმა ოცნებამ“ 2013 წელს დანერგა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლითაც მოქალაქეებმა უკვე 4,8 მილიონჯერ ისარგებლეს!

„ქართულმა ოცნებამ“ დანერგა C - ჰეპატიტის პროგრამა, რომლის საფუძველზე უკვე 45 ათასი ადამიანი სრულად განიკურნა!








## „ქართულმა ოცნებამ“ გააუმჯობესა სოციალური დაცვის გარანტიები:

- 2,5-ჯერ (285 მილიონიდან 700 მილიონამდე) გაიზარდა სოციალური დახმარების ბიუჯეტი;
- მთავრობის ახალი ინიციატივის საფუძველზე, ადამიანის დასაქმება ავტომატურად აღარ გახდება სოციალური დახმარების მოხსნის საფუძველი;
- მთავრობის ახალი ინიციატივის საფუძველზე, თითოეულ ბავშვს სოციალურად დაუცველი ოჯახიდან დაენიშნა 50-ლარიანი დახმარება;
- განხორციელდა სრული საგადასახადო ამნისტია 2012 წლამდე საგადასახადო დავალიანების მქონე პირებისათვის - განულდა მეწარმეებისა და სხვა მოქალაქეების დავალიანება 700 მილიონი ლარის ოდენობით;
- სახელმწიფომ განსაკუთრებულ პრიორიტეტად დაისახა შშმ პირების უფლებებისა და ინტერესების რეალიზება.

## 2013 წლიდან, გრძელვადიანი განსახლებით დაკმაყოფილდა 16 ათასზე მეტი დევნილი ოჯახი, მათ შორის:

- ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში ბინა 6735 დევნილ ოჯახს გადაეცა;
- „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ სახლი 2441 დევნილ ოჯახს შეუძინა;
- სახელმწიფომ იპოთეკური სესხი 375 დევნილ ოჯახს დაუფარა;
- სახელმწიფომ კერძო მესაკუთრეებისგან გამოისყიდა და დევნილებს გადასცა 1579 ბინა;
- სახელმწიფომ ინვესტორების თანადაფინანსებით ბინა შეუძინა 67 დევნილ ოჯახს;
- წლის ბოლომდე დაგეგმილია ახალაშენებულ კორპუსებში ბინების გადაცემა 1921 დევნილი ოჯახისთვის;
- 2013 წლიდან შეწყდა დევნილების გამოსახლება.

სწავლა საბავშვო ბაღებში გახდა სრულიად უფასო!
დაინერგა უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა!

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# 4 - ოქრო, 4 -ვერცხლი, 3 - ბრინჯაო!

## ოზურგეთელი კარატისტების წარმატება ღია ტურნირზე!



18 ნოემბერს გორში, კარატეში ტრადიციული XXVI ღია ტურნირი გაიმართა. ასპარეზობაში საქართველოდან 300-მდე სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას.

აღნიშნულ ტურნირში ოზურგეთელმა კარატისტებმა წარმატებით იასპარეზეს და ჯამში 11 მედალი - 4 - ოქრო, 4 - ვერცხლი და 3 - ბრინჯაო მოიპოვეს.

ტურნირის გამარჯვებულები: **ნიკა კოსტავა, ლუკა ვანაძე,საბა ჭელიძე, მარიამ ღლონტი.**

ვერცხლის პრიზიორები: **ნიკა თავაძე, თენგიზ ნადირიანი,ლაშა კოსტავა, ია ღლონტი.**

ბრინჯაოს პრიზიორები: **ლუკა ვანაძე,ხატია გოგელია, გიორგი მამინაშვილი.**

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ღია ტურნირი მარიამ და ია ღლონტებისთვის, ასევე ნიკა თავაძის, თენგიზ ნადირიანისა და ხატია გოგელიასთვის პირველი სერიოზული ასპარეზობა იყო, სადაც ახალბედა სპორტსმენებმა თავი გამოიჩინეს, ტიტულოვანი კარატისტები დაამარცხეს და შინ მედლებით დაბრუნდნენ (მწვრთნელი **შოთა ღლონტი**).

გორის ღია პირველობიდან დაბრუნებული ოზურგეთელი კარატისტები თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან, რომელიც დეკემბერში გაიმართება.

# სასკოლო ოლიმპიადის ფინალური შეხვედრა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდებს შორის კალათბურთში სასკოლო ოლიმპიადის ფინალური შეხვედრა გაიმართა.

გოგონებს შორის ერთმანეთს სოფელ შრომისა და 2-ე საჯარო სკოლის გუნდები შეხვდნენ, სადაც გამარჯვება **ქ. ოზურგეთის მე-2 საჯარო** სკოლის გუნდმა მოიპოვა, ხოლო ვაჟთა შორის ერთმანეთს სოფელ ბოხვაურისა და მე-2 და საჯარო სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ, გამარჯვებული ანგარიშით 22:8 **მე-2 საჯარო სკოლა** გახდა.

სასკოლო ოლიმპიადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

გამარჯვებული გუნდები მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 26 ნოემბერი ორშაბათი | 27 ნოემბერი სამშაბათი | 28 ნოემბერი ოთხშაბათი | 29 ნოემბერი ხუთშაბათი | 30 ნოემბერი პარასკევი | 1 დეკემბერი შაბათი | 2 დეკემბერი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე ღრუბელი | ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მცირე წვიმა | წვიმა | წვიმა | მზე, ღრუბელი |
| +6+13 | +8+16 | +8+17 | +9+16 | +6+12 | +5+13 | +2+7 |